# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   ორშაბათი, 13 აპრილი   1998 №54 (589)   ფასი 40 თეთრი


## შოთა არველაძე ჩემპიონია!

ჯერ, საბჭოეთის დროს, მოსკოვის „სპარტაკი“ იყო, მერე ვლადიკავკაზის „ალანია“, ახლა ამსტერდამის „აიაქსია“, რომელთა შემადგენლობაშიც ქართველები უცხო ქვეყანათა ჩემპიონები გახდნენ. ადრე ცხადაძე, რევიშვილი, შელია და ყაველაშვილი იყვნენ, ახლა — „აიაქსის“ უპირველესი ფორვარდი შოთა არველაძეა.

გუშინ, ჩვენი დროით ხუთს რომ თხუთმეტი აკლდა, „აიაქსი“ ჰოლანდიის 27-გზის ჩემპიონი გახდა. შოთამ „აიაქსის“ შემადგენლობაში მესამე ჰეთ-თრიქი შეასრულა, კლუბმა კი ამსტერდამში „ჰეერენი“ გაანადგურა 7:2. მორტენ ოლსენის სათავკაცო გუნდმა 80 ქულა მოაგროვა და ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე „ეინდჰოვენისთვის“ მიუწვდომელი გახდა.

ვნახოთ, ვინ იქნება მეოთხე კლუბი ისეთი, რომელსაც ქართველიც ასახელებს. ყველაზე მეტი შანსი შვეიცარიულ, ნემსაძისა და ყაველაშვილის „გრასჰოპერს“ აქვს. დაველოდოთ მაისს. მანამდე კი, „ჰეერენთან“ მატჩის შემდეგ შინ დაბრუნებულ ჰოლანდიის ჩემპიონ შოთა არველაძეს შევეხმიანეთ.

— შოთა, გილოცავთ!

— ოო, გმადლობთ, დიდი მადლობა. ეს წუთია, ტელეტექსტში ამოვიკითხე „ეინდჰოვენს“ როტერდამში წაუგია „სპარტასთან“. ძალიან გამიხარდა. როგორც იქნა, თურქეთში, „ტრაბზონში“, წვალების შემდეგ სხვა ქვეყნის ჩემპიონი გავხდი. ორი აშკარა კონკურენტი გვყავდა „ეინდჰოვენისა“ და „ფეიენოორდის“ სახით, მაგრამ ჩვენ გაცილებით უკეთ ვთამაშობდით, პირველობაც დამსახურებულად მოვიპოვეთ.

**— ჩემპიონები გახდით, ახლა ბომბარდირობა დაგრჩა. ხელი ხომ არ ჩაგიქნევია?**

— ჩაქნევით არა, მაგრამ ძლიერ მეეჭვება მახლასს რომ დავეწიო. დღეს მე-19 ბურთი შევაგდე, ბერძენ ჰოლანდიელს კი 31 ბურთი აქვს გატანილი. ძნელი საქმეა, ხუთი ტურილა დაგვრჩა. ბომბარდირობაზე უარს როგორ ვიტყვი, მაგრამ...

**— გახარებით კი გაგიხარდა, მაგრამ შეგუებულიც იქნებოდი. ხომ იცოდი, „ეინდჰოვენი“ 15 ქულის გამბათილებელი რომ არ იყო.**

იხილეთ მეხუთე გვერდი



შაბათს ეროვნულზე: „დინამო“ — „ბათუმი“.
მიხეილ აშვეთიამ გელა შეყილაძეს (№5) პენალტი აჰკიდა

## 22 ტური

**10 აპრილი**
ვიტ ჯორჯია 0:1 თსუ

**11 აპრილი**
გურია 2:1 სიონი
რუსთავი 1:1 მერანი
მარგვეთი 1:3 ტორპედო
დილა 3:0 ოდიში
დინამო 2:0 ბათუმი
სამგურალი 0:0 კოლხეთი

**12 აპრილი**
ლოკომოტივი 2:0 მაღაროელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 18 | 2 | 1 | 59:7 | 51 |
| ბათუმი | 22 | 13 | 5 | 4 | 47:16 | 44 |
| კოლხეთი | 22 | 13 | 4 | 5 | 42:18 | 43 |
| ტორპედო | 22 | 12 | 6 | 4 | 37:20 | 42 |
| ოდიში | 21 | 13 | 2 | 6 | 33:28 | 41 |
| თსუ | 22 | 10 | 6 | 6 | 28:15 | 36 |
| მერანი | 22 | 9 | 6 | 7 | 26:27 | 28 |
| ლოკომოტივი | 22 | 8 | 6 | 8 | 24:28 | 30 |
| დილა | 22 | 8 | 3 | 11 | 21:27 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 6 | 7 | 9 | 20:25 | 25 |
| სიონი | 22 | 7 | 6 | 9 | 33:29 | 22 |
| რუსთავი | 21 | 7 | 1 | 13 | 20:34 | 22 |
| სამგურალი | 22 | 5 | 5 | 12 | 20:43 | 20 |
| გურია | 22 | 4 | 7 | 11 | 22:43 | 19 |
| მაღაროელი | 21 | 3 | 3 | 15 | 17:50 | 12 |
| მარგვეთი | 22 | 1 | 5 | 16 | 14:53 | 8 |

„დინამოს“, „მერანს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა

სხვა მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე

## ვითამ და აზოტმა მოგებით დაიწყეს

**საქართველოს მე-7 ჩემპიონატი. პლეი ოფი. ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩები. სპორტის სასახლე. 11 აპრილი**

### აზოტი 1:0 სდასუ
### ვითა 1:0 დინამო

**ვითა — დინამო 98:90 (43:36)**

**ვითა:** აბრამიძე (8), ტურაშვილი (18), დავითულიანი (17), ორმოცაძე (18), ჩუბინიძე (17); ლოსაბერიძე (6), კოკოლიშვილი (13), კორძაძე (10), გაგნიძე, მიქაძე, ვაშაკიძე, ტულუში

**დინამო:** მაისურაძე (14), ხოშტარია (25), კილაძე (8), ბეჟანიშვილი (18), შენგელია (13); ნათაძე (3), ქევხიშვილი (9), შანიძე

თუმც მოულოდნელი იყო, მაგრამ არც ეს მატჩი გამოდგა დაძაბული. დინამოელებმა, რომლებიც წლევანდელ ჩემპიონატში „ვითაზე“ ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდნენ, ადვილად დათმეს შეხვედრა. ჩემპიონი კი, რაც დრო გადის, უმატებს და მისი თამაში სულ უფრო გაზრებული და მწყობრი ხდება.

იხილეთ მერვე გვერდი



ვითა — დინამო. დინამოელმა ირაკლი ხოშტარიამ მეორე ტაიმში კი აიწყვიტა, მაგრამ გვიან იყო

**წყალტუბო „26 მაისი“ 11 აპრილი**

### სამგურალი 0:0 კოლხეთი

**სამგურალი:** სტურუა, გ. ჯანელიძე (შველიძე 75), გ. თევზაძე, კოლუაშვილი, ქელიძე, ძაგნიძე, მოსიკაშვილი, ფრანგიშვილი (ლონლაძე 68), ი. ხაჭაპურიძე, ხურცილავა (ზ. ქუთათელაძე 71), თევდორაძე

**კოლხეთი:** ქვაჩახია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გიორგაძე, გიორგობიანი, ლალანიძე, დ. ნოზაძე (დ. მახარაძე 78), სუხიაშვილი, ე. გვასალია, ნივნივაძე, ინალიშვილი

**გაფრთხილება:** ჯანელიძე, კოლუაშვილი

**გაძევება:** სუხიაშვილი (42), კოლუაშვილი (42)

**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

## ვინ არის დამნაშავე? ალავერდი ფედერაციასთან

ფედერაციაში ნამდვილად გრძნობდნენ, წყალტუბოში რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, თორემ გუნთაძეს დამხმარეებად კახიანს და შილაკაძეს არასგზით მიუჩენდნენ, რადგანაც ესენიც ჩვენებურ მსაჯთა ელიტიდან გახლავან. ისე, თამაში რომ დაძაბული იქნებოდა, ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო. და აი, რატომ. „სამგურალი“ ახლა ჯგუფში დასარჩენად იბრძვის, მაგრამ ქულებს კანტიკუნტად ჰპოვებს — მეტისმეტად ეძნელება გატანა, მეორე წრეში საშინაო თამაშებში ჯერაც ვერ გაუტანია. „კოლხეთის“ მიზანი მიმდინარე გათამაშებაში ბევრად მომხიბლავია: პირველ სამეულში დამკვიდრება და ერთ-ერთ ევროტურნირში მონაწილეობა. წყალტუბოში ჩამოსვლამდე კოლხებს ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდათ, მეორე წრეში ექვსივე მატჩი მოიგეს და არც მეშვიდე აწყენდათ. მოკლედ, გასაცემი არც ერთს ჰქონდა რა. ბოლო-ბოლო, თავმოყვარეობის ამბავიც იყო, მასპინძლებს, თუკი უნარი ჰქონდათ, რევანშზე უნდა ეფიქრათ, მათ ხომ ფოთში სამარცხვინოდ (1:6) წააგეს.

ერთზეც ვთქვათ და შესავალს მოვრჩეთ: კარგად ვიცით, კოლხებმა ზამთარში წყალტუბოელთა წამყვანი მოთამაშეები — სუხიაშვილი და გიორგობიანი ისე გადაიბირეს, „სამგურალის“ მესვეურთ არც დაჰკითხვიან. კლუბები მოგვიანებით მორიგდნენ. ფოთელებს „სამგურალისთვის“ ამ ფეხბურთელებზე დახარჯული თანხა უნდა აენაზღაურებინათ. დოკუმენტურად არაფერი დაფიქსირებულა. იმერლები კოლხებს სიტყვაზე ენდნენ და ახლა ნანობენ. ვალის გასტუმრების დათქმული ვადაც გასულა, მათ კი არაფერი რგებიათ. ალბათ, ამ მიზეზითაც იყო, წყალტუბოელები მატჩის დაწყებამდე რომ გაიძახოდნენ — სუხიაშვილის და გიორგობიანის თამაში ჩვენს წინაალმდეგ ყოვლად გაუმართლებელიაო. რამდენად მისაღები იყო ეს მოსაზრება, თავად განსაჯეთ. ყოველ შემთხვევაში, კოლხთა თავკაცი სოსო ფილია სხვაგვარად ფიქრობდა და ძირითადში სუხიაშვილიც დააყენა, გიორგობიანიც და ახალშემატებული ინალიშვილიც.

იხილეთ მეორე გვერდი

## იტალიამ რაგბიც მოგვიგო

ამ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები იტალიელებს სტუმრობდა მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩის გასამართად. შაბათს, 11 აპრილს ქალაქ ლაკვილაში შერკინებისას მასპინძლებმა ჩვენებს 31:14 (19:6) მოუგეს.

# მეზობლის ფანს ხელს ნუ ახლებ...

ზესტაფონი
ცენტრალური
11 აპრილი

**მარგვეთი 1:3 ტორპედო**

**მარგვეთი:** მერკვილიშვილი, გოგაძე, გურიელიძე, ქვანია, ლონლაძე (მალალურაძე 46), კაციაშვილი, კაკაბაძე, თ. გაბრიჭიძე (ქურციკიძე 73), მუმლაძე, მალრაძე, შავგულიძე
**ტორპედო:** მამარდაშვილი, ჩხეტიანი (გ. შენგელია 75), ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მალლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია (კ. მეტრეველი 75), მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 77), ჩხაიძე
0:1 მეგრელაძე (36პ), 0:2 მეგრელაძე (70), 1:2 კაციაშვილი (78), 1:3 ხუჯაძე (87)
**გაფრთხილება:** გაბრიჭიძე
**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

**ბესიკ ჯანგავაძე** ზესტაფონიდან

ქუთათურ ფანთა ჩვენი ქვეყნის ტრამალებზე ვოიაჟი უკვე არავისთვის წარმოადგენს სიახლეს. მათ არც ამჯერად ულალატეს ახლახან წამოწყებულ ტრადიციას და მართალია, მცირერიცხოვანი ჯგუფით, მაგრამ მაინც ეწვივნენ ზესტაფონს. მატჩის დაწყებისთანავე მათი გამაყრუებელი ყიჟინა გამარჯვებისკენ მოუწოდებდა ქუთათურებს. სტუმრებს არც მასპინძლები ჩამორჩნენ. ცალკერძ ექსპრომტად შეკრებილ-შეჯგუფებული ზესტაფონელი გულშემატკივრის შეძახილები, ცალკერძ ქუთაისელ ფანთა თავგამოდებული ქომაგობა სტადიონზე მშვენიერ საფეხბურთო ატმოსფეროს ქმნიდა, ისეთს, როგორზედაც კარგა ხანია ვოცნებობთ. ამჯერად ქომაგნი არც მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს მოიხსენიებდნენ უდიერად, ოდენ აქა-იქ ერთობით მსაჯებს თუ შეუკურთხებდნენ (ამათთვის ეს დიდი ხანია, უჩვეულო არაა). მხოლოდ ერთხელ ატყდა ქუთაისელ ფანთა შორის რაღაც ჩოჩქოლი. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რა მოხდა! თვალი მხოლოდ იმას მოვკარი, თუ როგორ მიჰყავდათ ხელებამობრუნებული ერთ-ერთი გულშემატკივარი ადგილობრივ სამართალდამცველებს. და აიშალნენ ქუთათურები, მის თავისუფლებას ითხოვდნენ, ძმა ჭირში არ მიატოვეს, მოკლედ, თავისას მიაღწიეს და ამფსონი რომ სამშვიდობოს დაიგულეს, ერთი-ორად ძლიერად დასჭექეს.

არ მინდა, ქუთაისელ გულშემატკივრებს მათი სათაყვანებელი გუნდის გამარჯვებაში შეტანილი წვლილი დავუკარგო, მაგრამ ფაქტია — „ტორპედო" „მარგვეთს" მათ დაუხმარებლადაც დაამარცხებდა. აქედან გამომდინარე, სტუმრებმა ზედმეტად თავდაჯერებულად დაიწყეს თამაში და, ალბათ, ამიტომაც იყო, პირველი ნახევრის შუაწელამდე მინდორზე თანაბარი ორთაბრძოლა რომ წარიმართა. სტუმრებმა თავიანთ ერთად-ერთ ფორვარდზე, გია მეგრელაძეზე ააგეს თამაში. ამ ბიჭმა რომ წლეულს საგრძნობლად მოუმატა, არაერთხელ თქმულა, და თუ ასე გააგრძელა, ვინძლო არც შემდგომში დაიშურონ მის მიმართ საქებარი სიტყვები. მას ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისში შეეძლო ანგარიშის გახსნა, როდესაც გურიელიძემ თავით უკან დაუგდო ბურთი მეკარეს, მეგრელაძემაც წამით დაასწრო მერკვილიშვილს და თავს ზემოდან გადაატარა, მაგრამ არაზუსტად. პენალტი, რომლითაც მეგრელაძემ ანგარიში გახსნა, მისივე აქტიურობის ნაყოფი იყო: მან მარჯვენა ფრთიდან კარის გასწვრივ ჩაჰკიდა და ბურთი ზესტაფონელ მცველ გურიელიძეს გაშლილ ხელზე მოხვდა. მერკვილიშვილი კუთხეს კი მიუხვდა გიას, მაგრამ მაინც ვერას გახდა. გაშვებული გოლის შემდეგ მარგველნი ისე საგრძნობლად მოდუნდნენ, რომ ტაიმის გასრულებამდე დარჩენილ დროში მეგრელაძე ორჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ ვერ იხეირა.

მეორე ნახევარში ტორპედოელთა შეტევები კიდევ უფრო გამწვავდა. გაილაღა მეგრელაძემაც, რომელსაც შუა ხაზის მოთამაშეები — ხუჯაძე და კვეტენაძე უბამდნენ მხარს, მარცხენა ფრთიდან კი ჩხეტიანი აქტიურობდა. ერთ-ერთი შეტევისას ხუჯაძემ საჯარიმოში მცველებს უკან დაჰკიდა ბურთი, მეგრელაძემ ყველას დაასწრო და თავით ანგარიში გაზარდა. ორიოდ წუთში ჯანაშია გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ უხეიროდ გაისარჯა. შეტევაში გართულ ქუთათურებს 79-ე წუთზე ზესტაფონელთა იშვიათი კონტრშეტევა გაეპარათ და ქურციკიძის ზუსტი გადაცემის შემდეგ კაციაშვილი მცველებს ზურგს უკან აღმოჩნდა. ოცი მეტრი ისე ირბინა, ვერავინ წამოეწია და მასპინძელმაც, ისე, რომ მეკარესთან მიახლოება არც კი უცდია, შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით დალაშქრა სტუმართა კარი. გატანილმა გოლმა მარგველებს ფრთა შეასხა, რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ მათი აღტყინება საბოლოოდ შალვა ხუჯაძემ დააცხრო შორიდანვე ძლიერი დარტყმით.

# სიხარულიძის პირველი სიხარული

ლანჩხუთი
„ჯვგრაფი შევარდნაძე"
11 აპრილი

**გურია 2:1 სიონი**

**გურია:** გოგუა, ლურწკაია, კ. კვეკვესკირი, ზ. კვეკვესკირი (ლორია 72), ფაცურია, თიბილაშვილი, ქიქავა, განევი, ჩხეტია, ჯ. ბერიძე (ბაბუნაშვილი 67), ხოსროშვილი (ბუკია 46)
**სიონი:** დალაქიშვილი, ჩომახიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, გოგოლაძე (თვალაბეიშვილი 65), მ. სამხარაძე, ფოფხაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე, ჯაგიდისი, ლ. გაგუა
1:0 კ. კვეკვესკირი (35პ), 2:0 ბუკია (63), 2:1 ჯაგიდისი (73)
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**გოჩა ჯანაშია** ლანჩხუთიდან

„გურია" თითქოს გონს მოეგო. ერთი კვირის წინ მცხეთაში სტუდენტებთან ფრეს გამოჰკრა ხელი და წლევანდელ სეზონში სტუმრად მეორე ქულა აიღო. ის ერთადერთი ქულა კი გურულებმა ბოლნისში მოიპოვეს და რომ არა ყბადაღებული შინაური კედლების ფაქტორი, ალბათ, მაშინვე ლამის მოგებულ მატჩში გაიმარჯვებდნენ კიდეც.

ყველა მოელოდა, რომ სატურნირო ცხრილის ქვემოურთა ბრძოლა უშელავათო და დაძაბული იქნებოდა, მაგრამ მატჩი დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა.

შეხვედრის დასაწყისი თითქოს მწვავე ბრძოლის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. უკვე მესამე წუთზე შეიძლებოდა ანგარიშის გახსნა, როცა ქიქავამ ბოლნისელი მცველების პოზიცური შეცდომით ისარგებლა და საჯარიმოში ეულად მყოფი ჩხეტია მოძებნა, მაგრამ სანამ მან ბურთი გააჩერა, გაისწორა და დასარტყმელად მოემზადა, მცველებმა წაართვეს და გოლის გატანის რეალური შანსიც დაიკარგა. ორ წუთში ახლა სტუმრებს შეეძლოთ ეხეირათ, როცა ჩომახიძის გადაცემით კარს მარჯვნიდან მიახლოებული გოგოლაძის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა, ხოლო დამატებაზე გაგუამ ვერ ივარგა და ახლო მანძილიდან კარს ააცილა.

ამის შემდეგ „სიონმა" ცენტრი შეგნებულად დაუთმო მეტოქეს და თამაში სწრაფ კონტრშეტევებზე ააგო, რაშიც მთავარ როლს უდავოდ აქტიური ტყავაძე ასრულებდა. მაგრამ უნიათოდ გარჯილ დამხმარეთა შემხედვარე მარტო ბუბა რას გახდებოდა. აი, დაცვაში კი სტუმრები აშკარად სცოდავდნენ, რის ხარჯზეც „გურიამ" მოპოვებული ტერიტორიული უპირატესობა სათამაშოშიც გადაზარდა. მეათე წუთიდან მოყოლებული გოლამდე დალაქიშვილის კართან სამი-ოთხი ხელსაყრელი მომენტიც შეიქმნა.

მასპინძელთა შორის განსაკუთრებით მარცხენაფლანგელი ფაცურია გამოირჩეოდა, რომელიც ლამის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო. მეთორმეტე წუთზე მან თითქოს გადასული ბურთი ვარდნაში დაიმორჩილა და საჯა- [illegible]

მაგრამ საჯარიმოში შეჭრილ გურულთა მარჯვენა ნახევარმცველს ბურთი ფეხიდან აუხტა და დარტყმა უხეირო გამოუვიდა.

ანგარიში კი 35-ე წუთზე გაიხსნა. ლურწკაიამ მარჯვნიდან ჩაწოდებული კუთხური პირდაპირ კარში ჩაახვია, ბურთი ძელმა მოიგერია, ასხლეტილი ჩხეტიამ კარში გაგზავნა, სადაც შაკიაშვილმა ხელით ითამაშა. ამ ორომტრიალში გოლიც გავიდა, მაგრამ არბიტრმა კვარაცხელიამ პენალტის დანიშვნა უპრიანად ჩათვალა. თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან კახა კვეკვესკირმა მეკარე მარცხნივ გადაახტუნა, ბურთი კი მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგორა.

გაშვებულმა გოლმა ბოლნისელები თითქოს გამოაფხიზლა და ტაიმის დამთავრებამდე ორჯერ შეეძლოთ გათანაბრება, მაგრამ ფოფხაძის ახლო მანძილიდან დარტყმულ თაურს შედეგი არ მოჰყოლია.

თამაშის განახლებისთანავე კარგა ხანი საკმაოდ უნიათო ბრძოლაში ჩაილია და სტუმარ-მასპინძლებს რაიმე სახიფათო არ შეუქმნიათ. აი, მეორე გოლი კი მართლაც ჩინებული გამოდგა. ლანჩხუთელთა ლიბერომ კახა კვეკვესკირმა ბურთი მოედნის ცენტრში მოიგდო, წაიწია და საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფ შეცვლაზე შესულ ბუკიას გადააწოდა. თითქოს კლასიკური კედელი უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ მოულოდნელად ბუკიამ ბურთი აიგდო და ნახევარბრუნში ოციოდ მეტრიდან უზადოდ დარტყმული აბრაგანით წინგამოსულ მეკარეს მარცხენა კუთხეში ჩაუსვა.

„გურიამ" ორბურთიანი ფორა მოიპოვა. საქმე მოლეულად ჩათვალა და მოეშვა. „სიონმა" კი პირიქით, ბოლოს ძალა მოიკრიბა, კარგა გვარიანად შეაწუხა მასპინძელი და მალე იხეირა კიდეც. მთელი მატჩის განმავლობაში სუსტად გარჯილმა ჯონი ჯაგიდისმა დიდი გამოცდილებით მაინც თავისი გააკეთა, დავით ბერიძის გადაცემა კორპუსით კარგად დაფარა, შემობრუნებულმა მცველები უქმად დატოვა და უკრაინიდან დაბრუნებულ „გურიას" ძირითად მეკარე გოგუას ხასიათი გაუფუჭა.

„სიონმა" ბოლომდე იბრძოლა და მატჩის მიწურულს კინაღამ პირველი წრის შედეგი გაიმეორა. ტყავაძემ ეფექტურად გადააწოდა გაგუას, რომელიც მარცხნიდან შეიჭრა გურულთა საჯარიმოში და შეცვლაზე შესული თვალაბეიშვილი მოძებნა, მაგრამ მის ვარდნაში დარტყმულს გოგუა დაუხვდა და მასპინძლები იხსნა.

„გურიას", პირველი წრის ბოლოს დაბეჩავებულ „მარგვეთს" რომ სძლია, [illegible]

# ვინ არის დამნაშავე?

დასაწყისი პირველ გვერდზე

დიახ, ფედერაციაში სწორად გათვალეს. წყალტუბოში რაღაც უნდა მომხდარიყო, თანაც კარგი არაფერი. მატჩი დაიწყო თუ არა, წყალტუბოელები სტუმრებს მოსისხლე მტერივით ეკვეთნენ. არიფები არ ვეგონოთო და არც ფოთელებმა დაიხიეს უკან. კარგა ხანია, ჩვენი გუნდების ასეთ ზღვარგადაცილებულ უხეშობას არ შევსწრებივარ. ხისტი თამაში სხვაა, აქ პირდაპირ ფეხებზე ნადირობდნენ. თავიდან ინალიშვილს მოხვდა გვარიანად, მერე სუხიაშვილს. საქმეს ცუდი პირი უჩანდა და მე-6 წუთზე გუნთაძემ ჯანელიძეს აღარ აპატია, წივწივაძის წაქცევისათვის ყვითელი ამოუღო. მე-10 წუთზეც ასევე უნდა მოქცეულიყო. კოლუაშვილმა აშკარად მოცელა სტუმართაგან ყველაზე აქტიური ინალიშვილი, მაგრამ არბიტრმა დაინდო წყალტუბოელთა კაპიტანი. მერე ნოზაძემ და მოსიკაშვილმა გაიწიეს ერთმანეთისკენ და აქაც არაფერი. მსაჯი მეტად პრინციპული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან დაძაბულობა უფრო და უფრო მატულობდა. წყალტუბოელებმა განსაკუთრებით სუხიაშვილს დაადგეს თვალი, გასაქანს არ აძლევდნენ და აშკარა იყო, მის წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობდნენ. არ ვიცი, იქნებ ვცდებოდე, მაგრამ ასეთ სიტუაციაში ყველაზე გამართლებული სუხიაშვილის შეცვლა იქნებოდა, მან ისედაც დაუმტკიცა ფილიას, ალბათ შეუპოვარი და უშიშარი მებრძოლია. საქმისთვის რომ ასე აჯობებდა და ეს მალევე დადასტურდა. კოლუაშვილს არც წივწივაძესთან ბრძოლაში მიღებულმა გაფრთხილებამ ასწავლა ჭკუა, 42-ე წუთი იქნებოდა მორიგი ილეთი რომ ჩაუტარა ყოფილ თანაგუნდელს და სუხიაშვილიც გაცეცხლდა. ამათი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა და მაშინ იყო, გუნთაძემ, როგორც იქნა, წითელი ბარათი რომ იხმარა. მაგრამ ამან საქმეს ველარ უშველა. დასჯილებმა ვერც სათადარიგოთა სკამზე მოისვენეს, ისევ მუშტები მოიშველიეს და სულ მთლად აირია მონასტერი: ვინ ვის ლანძღავდა და გალახვას უპირებდა, ძნელი გასარჩევი იყო. მალე პოლიციელები ჩაერივნენ, თამაში რვა წუთით შეწყდა. სუხიაშვილს დროებით სტადიონის ლოჟაში, წყალტუბოს მერის მირზა ქორქაშვილის გვერდით მიუჩინეს ადგილი. ბუნებრივია, უსაფრთხოების მიზნით. განახლდა თამაში, მაგრამ ვაი ამ განახლებას. ისევ სკანდალი. ნახევარი წუთი თუ იყო გასული, წყალტუბოელთა საჯარიმოში შეჭრილ ინალიშვილს თევზაძემ რომ გადაუღობა გზა. შორიდან თერთმეტმეტრიანს ჰგავდა, მაგრამ გუნთაძემ საპენალტო ნიშნულისკენ კი არა, ცენტრისკენ გაიშვირა ხელი, პირველი ტაიმის დრო ინალიშვილის წაქცევამდე ამოიწურაო (არბიტრმა ზუსტად ეს სიტყვები გვითხრა, ოღონდ თამაშის შემდეგ). ახლა უკვე კოლხები აიშალნენ. თამაში გაყიდულია, მსაჯი „გვწვავსო".

ასე იყო თუ ისე, 20-წუთიანმა(?) შესვენებამ ვნებათაღელვა დააცხრო. ჰო, როგორც მიხვდით, პირველ ტაიმში, თამაშისთვის არავის ეცალა იმ ერთადერთი ეპიზოდის გარდა, ზემოთ რომ ვახსენეთ, საზეირო არც ერთ კართან არაფერი შექმნილა.

მეორე ნახევარმა შედარებით მშვიდად ჩაიარა — პირდაპირი გაგებით, თორემ თავად თამაში საინტერესოც კი გახდა. კოლხებიც გააქტიურდნენ და შეძლებისდაგვარად მასპინძლებიც ამოძრავდნენ. 50-ე წუთზე სტუმრებს უნდა გაეტანათ, წივწივაძე ახლოდან ურტყამდა კარში, მაგრამ თევზაძემ დაუფარა, განმეორებით დარტყმა კი სტურუამ მოიგერია. ექვსი წუთის შემდეგ მასპინძლებსაც მიეცათ შანსი. მარტივ სიტუაციაში ქვაჩახიას თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ახლოს ბურთი ხელიდან გაუვარდა. თევდორაძე იქვე იმყოფებოდა, მაგრამ ასეთ საჩუქარს არ ელოდა, დააგვიანა და ისევ მეკარემ აჯობა. მართალია, მასპინძლები თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ სათამაშო უპირატესობა მაინც მეტოქისა იყო. ხუთწუთიან ინტერვალში კოლხებმა სამი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს: ჯერ მიქაბერიძემ ვერ უპასუხა სათანადოდ ინალიშვილის პასს. მერე წივწივაძეს „ტურას" ჩაწოდებულზე თაური გაუცუდდა, ამ უკანასკნელმა ხაჭაპურიძის შეცდომით ვერ ისარგებლა — ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა. ღლონიძე ისე არ დატოვებს მინდორს, ძელს არ გაარტყას და ამჯერადაც ასე მოუვიდა. დაახლოებით 25 მეტრიდან ჩვეულ სტილში გაისროლა, თუმც არ გაუმართლა. ბოლოსკენ უკვე სტურუამ აულო წივწივაძეს და სამგურალში სადებიუტო მატჩიც ჩაეთვალა, ისევე, როგორც „კოლხეთში" ინალიშვილს. თუ ასე გაგრძელდა, გელა კოლხთა ლიდერად მოგვევლინება.

ფედერაციაში კი... წყალტუბოში მომხდარს, ალბათ, სათანადო შეფასებას მისცემენ.

# ძალიან დაიგვიანეს

თბილისი
„26 მაისი"
12 აპრილი

**ლოკომოტივი 2:0 მაღაროელი**

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ამბიძე (ახალაძე 66), ზ. არჩვაძე, ბარნოვი, კოტორაშვილი, ქვარცხავა, გ. კვეტენაძე (ზამთარაძე 46), ყაველაშვილი, დათუაძე, გოდერძიშვილი, ხუციშვილი (ქველაძე 73)
**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, ჩიკვილაძე, შ. ბიწაძე, მ. გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, ბარამიძე, ბუიშვილი, თ. სამხარაძე (მწყერაშვილი 46), კავთელაძე, შეყლაშვილი
1:0 გოდერძიშვილი (29), 2:0 ბარნოვი (65)
**გაფრთხილება:** ბარნოვი, გაბრიჭიძე
**მსაჯი:** გ. ასკაროვლი (ქარელი)

**მამუკა კვანტალიანი**

მონდომებული გუნდია „მაღაროელი". მოთამაშეებს ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით, ბურთის გაგორებაც შეუძლიათ, მაგრამ მატარებელმა აშკარად გაასწროთ. ჭიათურელებმა თვალი რომ გაახილეს, უკვე ბევრ წყალს ჩაევლო. აბა, მოუმზადებელი, მშიერი გუნდისგან, რომლის პატრონი ამქვეყნად არავინ დარჩენილა, რას უნდა ველოდოთ. „მაღაროელს" არც ჯანი შერჩენია იმდენი და არც ფინანსები, კონკურენტებს აჯობოს. ფაქტია, ეგენიც განწირულები არიან.

მიუხედავად ამისა, ვაკეში მასპინძლებმა გვარიანი ოფლი ღვარეს. მეტოქეს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და ამიტომ მათგან დაუჯერებელიც მოსალოდნელი იყო. ვაკელებმა თადარიგი თავიდანვე დაიჭირეს — სტუმრებს ხისტი თამაში შესთავაზეს და იხეირეს კიდეც.

გოდერძიშვილმა მცველი სისწრაფეში დაჩაგრა, წინ გამოჭრილ გველესიანს ბურთი თავზე გადაუგდო და ანგარიში გახსნა. გატანა კიდევ არაერთხელ შეეძლო, მაგრამ გველესიანი მედგრად დაუხვდა.

„მაღაროელს" ერთადერთი საგოლე მომენტი ჰქონდა — კუთხურიდან ჩაწოდებულს ბუიშვილმა თავი დაახედრა. მასპინძლები ძელმა გადაარჩინა.

ეგ იყო და ეგ. ვოლკოვი მეტჯერ არც შეწუხებულა.

რკინიგზელთა მეორე გოლი ბარნოვის დამსახურება იყო. მცველმა ბოლომდე იბრძოლა. დიდი ძალისხმევით მოპოვებული ბურთი ორ მოწინააღმდეგე კოლეგას არაფრით დაუთმო და გველესიანს მარჯვენა შორეულ კუთხეში გაუტანა.

ზედიზედ ორმა მოგებამ „ლოკომოტივი" წელში გამართა. თუ მახარაძის გუნდმა ასე გააგრძელა, შეიძლება ექვსეულსაც გამოჰკრას ხელი. მეტს ველარ გასწვდებიან, რადგან თავის დროზე ამათაც დააგვიანდათ.

გოჩა [illegible] ფოტო



აბრამიშვილი დათუაძეს მოედნის კიდეზე ებრძოლა

თბილისი
ეროვნული
11 აპრილი

**დინამო 2:0 ბათუმი**

**დინამო:** გ. ჭანტურია, ქემოკლიძე (არსოშვილი 85), ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, პეტრიაშვილი (ლ. ბურდული 59), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი, ხომერიკი (წიტაიშვილი 59)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ჭიჭვეიშვილი, სოლოლაშვილი (ღლონტი 55), ზირაქიშვილი (აფხაზავა 70)
1:0 ხომერიკი (49პ), 2:0 ბურდული (90)
**გაფრთხილება:** ჭანტურია, ჯელაძე
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

# თბილისი რომი არ არის

**კობა ინასარიძე**

ეს მატჩი თავისი მნიშვნელობით ჩვენთვის ისეთივე იყო, როგორც იტალიელთათვის ამას წინათ ჩატარებული „ლაციო" — „იუვენტუსი". ამ თამაშს, ფაქტობრივად, ერთი წელი ველოდით, ველოდით და იმედი გვქონდა, იტალიური ლიგის ანალოგიურს აღარ ვჩივით, ეროვნული ჩემპიონატის სხვა მატჩებისგან განსხვავებულ ბრძოლას მაინც ვიხილავდით — ლამაზს, მძაფრს, სწრაფსა და უშელავათოს. თანაც შაბათი დღე იყო, გულშემატკივარი ვერც ამან შეიტყუა სტადიონზე. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართველებს საკუთარი ჩემპიონატი სულაც არ ადარდებთ. აბა, ენა როგორ მოგვიბრუნდება სხვა მიზეზის დასასახელებლად? რა, იტალიელებს ქართველებზე მეტად უყვართ ფეხბურთი? კაცი ვერ დამაჯერებს, მაგრამ ფაქტი კია, იმ დღეს „სტადიო ოლიმპიკო" პირთამდე სავსე გახლდათ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულზე კი დასავლეთი ტრიბუნაც კი ვერ გაავსო ხალხმა სანახევროდ. ესეც კმარა, რათა დავრწმუნდეთ, რაოდენ არ აინტერესებთ ქართველებს საკუთარ ფეხბურთი. სანუგეშოდ ოდენ ეროვნული ნაკრებილა გვრჩება და ისიც დიდი-დიდი წელიწადში სამ-ოთხჯერ თუ იბურთავებს ქვეყნის უპირველეს სარბიელზე. ქართველები არც ჩვენი კლუბების ევროტურნირების მოახლოებას ნატრობენ, რადგან იციან, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „კრუზეიდერსი" თუ დაგვეჯახება, მეორედ „ბაიერის" მსგავს გუნდთან მოუწევთ ჩვენებურებს ჭიდილი და სამარცხვინოდ დამარცხდებიან. არ იფიქროთ, მარტო „დინამოს" ვგულისხმობდეთ, არა, ეს „ბათუმსაც" ეხება, „კოლხეთსაც" და იმ მეოთხე გუნდსაც, რომლის ვინაობაც, მავანთ რომ ჰკითხოთ, უკვე ცნობილია. ესაა ჩვენი ჩემპიონატი, ჩემპიონატი, რომლის ცენტრალურ და საჩემპიონო მატჩს ინტრიგის გარდა არაფერი ამშვენებდა. ინტრიგაც პირობითი სიტყვაა, თორემ ეს ამბავი რომ კარგა ხნის გარკვეულია, მაშინ გამოჩნდა, როცა აჭარლებმა „ვიტ ჯორჯიასთან" წააგეს. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, „ბათუმი" მაინც მიგვაჩნდა და მიგვაჩნია იმ კლუბად, 15 გუნდიდან ერთადერთს რომ ძალუძს „დინამოს" თბილისში დამარცხება. ეს ბათუმელებმა რვა წლის განმავლობაში ვერ შეძლეს, ვიფიქრეთ, იქნებ ახლა გატყდეს ნავსიო, მაგრამ...

არა, ბრძოლა იყო, ლამაზი და გონივრული კომბინაციებიც, ორმხრივი შეტევებიც, მხოლოდ ტემპი გახლდათ მეტად დაბალი და სწორედ ამან მოაკლო ეშხი მატჩს. პირველი ტაიმი აბსოლუტურად თანაბრად მიმდინარეობდა, სტუმრები, სხვებისგან განსხვავებით, დაცვაში არ ჩამჯდარან და მასპინძელთა შეტევებს შეტევებითვე პასუხობდნენ, ჭანტურიას კარისკენ კი იმდენჯერ დაარტყეს, თბილისელებისას დაახლოებით ორჯერ რომ სჭირდებოდა. თორლაშვილი, მინდაძე, ზირაქიშვილი, შეყილაძე უმიზნებდნენ, უმიზნებდნენ, მაგრამ ჭანტურია ვაჟკაცობდა, ხანაც სტუმრები სცოდავდნენ. ყველაზე რეალური კი მაინც ხომერიკ-აშვეთიას მიერ შექნილი მომენტი გახლდათ, როცა ტოგონიძემ მორიგი სასწაულის მსგავსი მოახდინა და ცარიელ კარში აშვეთიას დარტყმულს მკერდით გადაეღობა. გამოსარჩევი მხოლოდ ეს იყო, აკი გითხარით, ბათუმელებმა ძალიან ბევრჯერ შეაწუხეს თბილისელი მცველები და მეკარე-მეთქი. ისე, ალსანიშნავი ისიცაა, რომ „ბათუმმა" ის გააკეთა რასაც სხვები წელიწადში ერთხელ, ისიც შემთხვევით აკეთებენ — ყველაზე ცოტა ხუთჯერ შექმნა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობა და მასპინძელთა ნაჯაფარი წყალს გაატანა.

მეორე ტაიმში შეყილაძე-აშვეთიას დუელი იყო თვალშისაცემი. მიხო ბევრს მოძრაობდა, შეყილაძე დასდევდა, მაგრამ მასპინძელმა იმარჯვა. აშვეთია ბევრჯერ დაუსხლტა სტუმრის მარწუხებს და ჩვეული არალოგიკური მოძრაობებით ბათუმელებს ბევრი ხიფათიც შეუქნა. მატჩის განახლებიდან ოთხ წუთში კი სულაც მახო მახარაძის, ჭიჭვეიშვილსა და შეყილაძის შორის გაძვრა და კარს მიუახლოვდა, ერთ-ერთმა სტუმარმა იგი უმოწყალოდ დასცა ძირს და ასპროცენტიანი პენალტიც აიკიდა. ხომერიკმა უნაკლოდ შეასრულა თერთმეტმეტრიანი, თუმც კი ტოგონიძემ თითები წაატანა ბურთს. „დინამომ", შეაგდო თუ არა, ალბათ, ანგარიშის შენარჩუნების მიზნით, უპირატესობა „ბათუმს" გადაულოცა. ისეთი მონაკვეთიც კი იყო, როცა თბილისელები საკუთარ კარს მიეჯაჭვნენ და რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთთავად, უმისამართოდ იგერიებდნენ სტუმართა შეტევებს. დამეთანხმებით, უიშვიათესი შემთხვევაა, რვაგზის უცვლელ ჩემპიონს რომელიმე გუნდმა შეტევა დააციწყოს. ეს „ბათუმმა" შეძლო, თუმცა მთავარი ვერ მოახერხა — უგოლოდ დატოვა მოედანი. არადა, სწორედ მაშინ, ბათუმელთა შტურმისმაგვარი რომ დაიწყო, ღლონტმა უნაღდესი ბურთი გააცუდა — ნახევარი მეტრიდან ჭანტურიას თითქოსდა შეგნებულად მოარტყა ბურთი. ამას შეყილაძის ორი გასროლა და თორლაშვილის დარტყმები მოჰყვა. ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა. აი, სულ ბოლო წამებზე კი ჩემპიონმა ისევ იხეირა: მახო მახარაძე შეტევას ამზადებდა, კიკნაძემ რომ ცენტრთან დაატოვებინა ბურთი და წიტაიშვილი ბათუმელთა ნახევარზე მარტოდ დატოვა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ისევ ტოგონიძემ იმარჯვა, წიეს დარტყმული უკუაგდო. არაფერმა გაჭრა — სტუმრები იმდენად ჩამორჩნენ დინამოელთა შეტევას, რომ მოგერიებულს ბურდული დაეუფლა და ცხადი გახადა არა მარტო მატჩის შედეგი, არამედ „დინამოს" ფაქტობრივად მეცხრედ გაჩემპიონებაც. ამათი დამწევი უკვე აღარავინაა, ჩემპიონის ბედი გადაწყვეტილია, მხოლოდ სასწაულს თუ შეუძლია რაიმეს შეცვლა. მაშ, რაღა გვეთქმის, ეროვნული ჩემპიონატის დონეზე ისიც მეტყველებს, ჩემპიონი რვა ტურით ადრე რომაა ცნობილი. ამას სხვა სახელი უფრო ჰქვია, ვიდრე...



მიხეილ აშვეთიამ ვერ გაიტანა, მაგრამ გელა შეყილაძე (№5) გვარიანად აწვალა

გორი
ცენტრალური
11 აპრილი

**დილა 3:0 ოდიში**

**დილა:** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, ხოხობაშვილი, ლომიძე, შატაკიშვილი (დ. მაისურაძე 80), რევაზიშვილი, მარეხაშვილი (წკრიალაშვილი 42), ციცქიშვილი, მარლიშვილი (მ. მინდიაშვილი 63), ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი
**ოდიში:** სოლოლაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ცქიფურიშვილი, ტყემალაძე, ებრალიძე, სიდამონიძე, ენდელაძე, გელა ქორიძე, ქოიავა (იოსავა 67), კალანდაძე
1:0, 2:0 კაიდარაშვილი (41, 43), 3:0 მარლიშვილი (52)
**გაფრთხილება:** შატაკიშვილი
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

# ნანოზს ნანავა?

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

„ოდიში" ევროთასებზე ვერ მოხვდება. ზუგდიდელებმა ეს გუშინ, გორში მოახერხეს და სიმართლეს თვალებში თუ ჩავხედავთ, აშკარად ვნახავთ, რომ ასეთ გუნდს ევროპაში არაფერი ესაქმება. რაოდენ სუბიექტურნიც არ უნდა ვიყოთ, „ოდიშის" თამაშში მაინც ვერ დავინახავთ საიმედო ნაპერწკალს. ზუგდიდელებმა მთელი მატჩის განმავლობაში ვერც ერთხელ შეძლეს ჭანტურიას შეწუხება.

სტუმართაგან ყველაზე საცოდავი მათი მეკარე გახლდათ. სოლოლაშვილი გორში გაზრდილ-დავაჟკაცებული ბიჭია და გუშინ ძმაკაცების წინააღმდეგ უწევდა თამაში. გორელი მაყურებლის ამბავი ყველას მოგვეხსენება. ეგენი შინაურებს აგინებენ და სხვას დაინდობდნენ? ერთიორჯერ შუმახერასაც შეუძახეს. ბიჭს სიმწრისგან თვალზე ცრემლი მოადგა. კარში დგომას სიკვდილი ერჩია, მაგრამ გამწარებულმა თავის შეკავება მაინც შეძლო. თამაში ვაჟკაცურად ჩაამთავრა.

ქოიავას კი ნერვებმა უმტყუნა. ვერ მოითმინა ამდენი გინება და თავადაც გვარიანად შეუკურთხა. კიდევ კარგი, ზუსტად ამ მომენტში გამოცვალეს, თორემ მსაჯისგან ხომ დაისჯებოდა, მაყურებელთა რისხვაც ორმაგად დაატყდებოდა. ამ ბოლო დროს მწვრთნელ-ფეხბურთელთა სიტყვიერი შეურაცხყოფა მომრავლდა. თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, ერთხელ ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდეს.

გუშინ ვერც „დილამ" ითამაშა ჩვეულად, მაგრამ სტუმართა დამარცხება მაინც შეძლო. გორელებმა მეტი არ მოინდომეს, თორემ ზუგდიდელთათვის ბოლნისური ფიასკო მონაგონი იქნებოდა, „სიონთან" „ოდიშმა" რომ 6:0 წააგო.

ვინ მოუგო „ოდიშს"? ვინ და იმ ფეხბურთელმა, რომელიც გორელი კია, მაგრამ სამიოდ თვის წინ ჯერაც „ოდიშში" ირიცხებოდა. ნანავა ალბათ, ნანობს კიდეც, კაიდარაშვილი ზუგდიდიდან ნაწყენი რომ გამოუშვა.

ალეკო ამჟამად ფორმაში ვერ არის, მაგრამ გუშინ მინდორზე ყველაფერი გააკეთა. პირველი გოლი ხომ თავად შექმნა, როცა საჯარიმოში კარისკენ ზურგშექცევით მდგარმა ორი მცველი მშრალზე დატოვა და შუმახერას მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა ბურთი. ორ წუთში კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი სტუმართა საჯარიმოში გაიჩხირა. მასპინძლებმა კარში ორჯერ დაარტყეს, ჯერ მეკარემ ივარგა, მერე ხორგუაშვილის დარტყმული ხარიხამ უკუაგდო. ბურთს კაიდარაშვილმა მიუსწრო და იგი ძლიერი დარტყმით ხარიხის ქვეშ გააძვრინა. მატჩის ბედიც მაშინ გაირკვა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა კაიდარაშვილმა კიდევ ერთხელ გაგზავნა ბურთი კარისკენ, ამჯერად თავით, მაგრამ იგი მარჯვენა ძელს მოხვდა. მარლიშვილმა დაამატა და ანგარიშიც გასამდა.

ამის შემდეგ სტუმრებმაც ვითომ მოინდომეს, მაგრამ დასამარხად გამზადებული ცხედარი აბა, ვის გაუცოცხლებია. არც მასპინძლებს მოუკლავთ თავი და მალაღურაძემ წვალებას ბოლო მოუღო.

თამაშის შემდეგ ბევრი ვერსია ითქვა. ამბობდნენ, ეს თამაში ზუგდიდელებს უნდა მოეგოთ, თავიდან ასე იყო დაგეგმილიო. მე ვერ მოგახსენებთ, რა და როგორ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ერთი ცხადად შევნიშნე, საბოლოო შედეგმა ზუგდიდური კლუბის ხელმძღვანელები ძლიერ დაალონა და დააფიქრა. თავისმტვრევა კი უფრო ადრე იყო საჭირო...

კაიდარაშვილი კი ოდიშოლოგად მოინათლა. ალეკომ წინა ჩემპიონატში ზურცილავას „ოდიშსაც" მოუღო ბოლო. ზუგდიდშიც იმ თამაშის შემდეგ მიიწვიეს, მაგრამ იქ ვერ დააკავეს.

მეორე ოდიშელყოფილი, ასევე გორელი გიორგი რევაზიშვილი, ისიც ნაწყენი კლუბის ხელმძღვანელობაზე, გუშინ დაცვაში ირჯებოდა. მთელი ფლანგის კონტროლიც ევალებოდა და მეტოქე არ გაუჭაჭანებია. მოკლედ, ბიჭებმა თავისებურად იძიეს შური. ესენი ნანავას კუთვნილ ფულს ედავებოდნენ და „ოდიშიც" სწორედ ამიტომ დატოვეს.

ისე ერთიც არის, რაც ეროვნული ჩემპიონატი ტარდება, ზუგდიდელებს გორიდან ქულაც ველარ წაუღიათ, როგორც გორელებს ზუგდიდიდან. მეტად იშვიათი და უცნაური ტრადიციაა.

რუსთავი
„ფოლადი"
11 აპრილი

**რუსთავი 1:1 მერანი**

**რუსთავი:** მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, ზ. გვაზავა, კუდინოვი, პავლიაშვილი, ცომაია, პატარიძე (დ. არჩვაძე 56), მ. სახვაძე, ჩუხუა, ყიფიანი (ფეზუაშვილი 70), ბ. შენგელია
**მერანი:** ნაჭყებია, დავითნიძე (ჩიგოშვილი 64), ე. ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გენაძე, კაპანაძე, ინიაშვილი, ა. ხორხელი (დანელია 74), აბაზაძე (მაზანაშვილი 53), დავითაშვილი
1:0 გვაზავა (49), 1:1 კაპანაძე (71)
**გაფრთხილება:** ბუხრიკიძე, ფეზუაშვილი
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

# თეთრი, ოღონდ არა ბაირაღები

**ვახტანგ ბზიკაძე რუსთავიდან**

უცნაურია, მაგრამ კარგი — ერთ გუნდს გამარჯვება, მით უმეტეს ფრე, თითქმის არაფერს მატებს, მეორეს (მასპინძელს) კი ბედ-ილბალი უნდა გადაუწყვიტოს და ამ დროს მატჩის საბოლოო შედეგი ნაღდი ბრძოლის დასტური ფრეა.

გამორიცხული არაა, რუსთაველებს „მერანთან" ვერმოგება ძვირადაც დაუჯდეთ. და ეს, რაგინდ გულსაწყვეტიც არ უნდა იყოს, ასე ჯობს. თუ „რუსთავი" ასეთ ბრძოლებს გადარჩება, პირველ ჯგუფში დარჩენის ღირსიც მეტად იქნება.

გუშინ რუსთაველები ახლებურად წარუდგნენ მეტოქეს. ეს მათ თამაშზეც ითქმოდა და... ფორმაზეც. ამასწინათ ორი მსგავსნომრიანი მაისურით თამაშისთვის რომ გავკიცხეთ, დაიჩივლეს საამდროოდ მეტი ვერ მოვახერხეთ, ისე კი ახალი სამოსი შეკვეთილი გვაქვს და ჩამოგვივაო. მართალი გამოდგნენ — გუშინწინ მასპინძელთა თეთრი, F.C. RUSTAVI-თ მკერდდამშვენებული ფორმის ნათლობა „მერანთან" ბრძოლაში შედგა. ეგ იყო, რუსთაველებს თავდაუზოგავი გარჯა და თეთრეულის გათხვრა მოუხდათ.

შეხვედრა ისე მძიმედ, მწირმომენტიანად დაიწყო, ასე საინტერესო მეორე ტაიმი ძნელი წარმოსადგენი გახლდათ. არადა, ბოლო ნახევარში თვალსასეირო ბევრი რამ იყო — გოლიც, მაღალი ტემპიც, სიხარულიც და დრამაც.

„რუსთავი" საშუალედო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე დაწინაურდა. მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულ კუთხურს ჩუხუა ვერ მისწვდა და შორეულ ძელთან დადარაჯებულმა ზვიად გვაზავამ ანგარიში მაინც გახსნა. მცველი იქ აღმოჩნდა, სადაც საჭირო იყო და სტუმრები შესვენებაზე ცუდ ხასიათზე გაუშვა. წინა, „მარგვეთთან" თამაშისას მსგავს სიტუაციაში ზვიადს მეტოქის მცველმა გურიელიძემ არ დააცალა და ავტოგოლი მიითვალა, „მერანთან" კი გვაზავამ მაინც გაიტანა პირველ ჯგუფში პირველად.

თამაში ახალი განახლებული იყო, თბილისელებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლის გამტანი აბაზაძე მაზანაშვილით რომ შეცვალეს. „მერანის" თავკაცს ჯონი ჯანელიძეს მიაჩნია, მაზანა მის ადგილზე რომ იჯდეს, თავისი საფეხბურთო აზროვნებით მწვრთნელის ჭაპანსაც გასწევს. მაგრამ გიორგი ჯერ 25 წილსაც არაა, და, ბუნებრივია, თამაში მართებს. შაბათს მაზანაშვილი თამაშში უპრობლემოდ ვერ ჩაერთო — ბრმად მოგერიებული ბურთი მეტოქემ დაისაკუთრა და მეკარესთან პირისპირ გასულ ჩუხუას საქმეში შენგელიაც რომ გაეევანა, იქნებ ეხეირა, ასე კი მაზანა ნაჭყებიამ იხსნა. გიორგის არც ჩვეული პასები გამოუვიდა, მაგრამ პოზიციური გადაადგილებებითა და მცირედი საფეხბურთო ეშმაკობებით „მერანი" გააძლიერა. ასეთი ზურგით გულმიცემულმა თბილისელთა წინა ხაზმა შეტევები სათავისოდ ააწყო და მესამოცე წუთზე ხორხელმა დავითაშვილს ისეთი სწრაფი და ლამაზი კედელი გაუთამაშა, პავლიაშვილს რომ არ ემარჯვა, ანგარიშს გაათანაბრებდა. სამ წუთში „რუსთავმა" გამოილო ხელი, თუმცა შენგელიამ სახვაძის ჩაწოდებული ბურთი თავით კარს ააცილა. მორიგ სამ წუთში მასპინძლებს გაირების ახალი შანსიც მიეცათ — თბილისელთა მეკარე მცველის მიბრუნებულ ბურთს ხელს ვერ ჰკიდებდა, მენთეშაშვილმა შეაწუხა და აიძულა, არაზუსტად მოეგერიებინა, ბესიკ შენგელიამ გადაცემა ჩაჭრა, დაფარულადაც დაარტყა, მაგრამ ნაჭყებია შეტევას ადგილზე დაუხვდა.

70-ე წუთი მასპინძელთათვის საბედისწერო გამოდგა. გაიოზ დარსაძემ ყიფიანი ფეზუაშვილით შეცვალა და ქომაგებმა უმალ გაავონეს — „ბოჭოს, რა შეცვლებიაო!" მიზეზი ჰქონდათ — პაატა მინდორზე შესვლისთანავე ერთ-ერთ მეტოქეს ეტაკა და საკუთარ ნახევარზე ჯარიმაც დაიმსახურა და ყვითელი ბარათიც. აქედან ჩაწოდებულ ბურთზე დავითაშვილი მცველებს ებრძოლა, ამით კაპანაძემ ისარგებლა და ქორიძეს დაბალ, დაფარულ კუთხეში გაუტანა.

გოლს მაყურებელთა საქილიკო რეპლიკები და მასპინძელთა მორიგი შეცდომა მოჰყვა. უწყინარ სიტუაციაში ინიაშვილის აუტიდან მოწოდებულ ბურთს მასპინძელთა მეგოლე მცველმა გვაზავამ ფეხი ააცილა და დავითაშვილმა ძლიერი, მახვილკუთხიანი აბრაგანი ხარიხას გადაავლო. მოკლედ, „რუსთავი" წაგებას გადარჩა. მის დღეში მყოფისთვის ურიგო შედეგი აღარც ფრე იყო.

თამაშის მიწურულს აღსანიშნი მხოლოდ ეს იყო, რომ შერმადინ დანელიამ ხორხელი სათადარიგო მსაჯთან შეუთანხმებლად შეცვალა. დურმიშხან მენთეშაშვილმა დანელია გამოიხმო და წესების დაცვით შეცვლა აიძულა. ამ მომენტის ჩათვლით მსაჯობა ობიექტური და მაღალკვალიფიციური იყო, თუმცა ორივე მხარემ სამართლიანად დაფიქსირებულ თამაშგარეებზე მაინც დაიჩივლა.

საყურადღებო ესეც გახლდათ, რომ გულშემატკივრები თავიანთ გუნდს, ძირითადად მათი თქმით არარუსთაველებს, ცალყბად ტომაგობდნენ, თითქოს ჯიბრში უდგანანო. არჩვაძით შეცვლილი პატარიძეც დემონსტრაციულად ტაშით გააცილეს. მათი საქმეა, მაგრამ ამის თქმა კი შეიძლება, ოდენ რუსთაულმა „მეტალურგმა" პირველ წრეში ვერაფერი იხეირა და თუ განახლებულ, თბილისელებით გაძლიერებულ „რუსთავს" ასე კრიჭაში ჩაუდგებიან, გავარდნის შანსი გაიზრდება, კი არ მოიკლებს.

გასავარდნი კი „რუსთავი" ნამდვილად არაა. გადასარჩენად თავს, ეტყობა, არავინ ზოგავს და გუნდის ახალი სპეტაკი ფორმაც არასაფეხბურთო სიმძიმეთაგან განწმენდის ნიშანი უფრო უნდა იყოს, ვიდრე კაპიტულაციისა. დანებებამდე ჯერ ადრეა, ეგებ, არც გახდეს საჭირო.

## ინგლისი

# დაიქუხა მეთოფეთა არსენალმა

XXXIII ტური

### არსენალი 3:1 ნიუკასლი

**არსენალი:** სიმენი, უინთერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, ანელკა (ბოა მორტე 85), პარლოუ, პეტი, გარდე, ვრე (პლატი 62), ოვერმარსი (ჰიუზი 76)
**ნიუკასლი:** გივენი, ბარტონი, გრიფინი, ალბერი, პირსი, ჰამილტონი (ქეცბაია 60), სპიდი, ბარნსი (ანდერსონი 66), ბეტი, დაბიზასი, შირერი
1:0, 2:0 ანელკა (41, 64), 3:0 ვიეირა (72), 3:1 ბარტონი (79)

შეხვედრის დასასრულამდე ათ წუთზე ოდნავ მეტია დარჩენილი. მატჩის ბედი 15 წუთით ადრე გადაწყდა, მაშინ, არსენალელთა ფრანგმა ლეგიონერმა ნიკოლა ანელკამ მეორედ რომ აილო შეი გივენის კარი. ახლა ფეხბურთელები მხოლოდ მოვალეობას იხდიან და... სწორედ აზრდაკარგულ ბოლო წუთში გააქვს ნიუკასლელ ბარტონს გოლი. თუმცა ეს უფრო პრესტიჟისთვის ხდება. წაგება მაინც წაგებაა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, განადგურებას ისევ ორი ბურთით მარცხი სჯობს.

— მთავარია, ჩემპიონატი მოვიგოთ. ჩვენ ძალგვიძს პირველობის მოგება. ჩვენ ჩემპიონები უნდა გავხდეთ — ორი ბურთის ავტორი ნიკოლა ანელკა, რომლის დავთ, სადამდე მივიდა საქმე? პირველობის დასაწყისში „ნიუკასლი" ჩემპიონობის კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ სინამდვილეში რა გუნდიც იყო, გამოჩნდა. ეგ კი არა, ახლა ინგლისური ელიტარული საფეხბურთო წრიდან გავარდნაც დაემუქრა.

...„ნიუკასლს" ცალი ფეხი სამარეში, ამ შემთხვევაში პირველ დივიზიონში უდგას. მასზე უკან მდგომნიც არ არიან ისე ჩამორჩენილნი, პრემიერლიგაში დარჩენის იმედი გადაწურული ჰქონდეთ, თავად „ნიუკასლს" კი სეზონის ბოლოს ისეთი შეხვედრები დარჩა, კაცი მტერს არ უსურვებს. გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწევაო, ისეა კენი დალგლიშის რჩეულთა საქმე — დარჩენილი შეხვედრების უმეტესობას ნიუკასლელები მეტად სახიფათო გუნდებთან ატარებენ — სტუმრად „მანჩესტერთან", „ტოტენჰემთან", „ბლექბერნთან", შინ კი „ჩელსისთან".

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ „ნიუკასლი" ჯერჯერობით უხიფათო ზონაშია, სავსებით შესაძლებელია, გაისად მათ პრემიერლიგელი მეტოქენი პირველდივიზიონელებზე გაცვალონ.

სამი სეზონის წინ გიორგი ქინქლაძე აწ უკვე ყოფილ პრემიერლიგელ „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა. მაშინ, ჩემპიონატის დასასრულს, „სიტი" პირველ დივიზიონში აღმოჩნდა. ამ სეზონის დასაწყისში თემურ ქეცბაია „ნიუკასლში" გადავიდა. ახლა ჩემპიონატის დასასრულს „ნიუკასლი" პოტენციურ გასავარდნთა სიაშია, თუმცა ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ქართველი მოთამაშე პრემიერლიგას თავისი ნებით კი არა, კვლავ გუნდის უხეირო თამაშით დაემშვიდობება.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ლივერპული. სტუმარი ინსი საჭიროზე ადრე დაეცა

გადაბირებაზეც „მონაკომ" „არსენალს" ერთობ გაურთულა საქმე, სასურველი მომაელის განჭვრეტით ტკბებოდა.

— „არსენალი" შესანიშნავი გუნდია, მართლაც კარგი გუნდი. თუ რაიმე საშინელება არ მოხდა, ჩემპიონატში აუცილებლად ვიმარჯვებთ. მოვლენების ლოგიკური გაგრძელება სწორედ ჩვენი გაჩემპიონება იქნება — ეს კიდევ ერთი ფრანგი არსენალელის, პატრიკ ვიეირას სიტყვებია.

ამ ორმა პირტიტველა ზანგის ბიჭმა შაბათს „ნიუკასლი" დაანგრია. მეტიც, მათმა გოლებმა ლონდონისგან საკმაოდ დაშორებულ მანჩესტერშიც გვარიანი შეშფოთება გამოიწვია. ზოგიერთ მანჩესტერელს კი იმ ღამით სულაც ძილი გაუტყდა. ამის მიზეზი ხომ ნათელია — ალექს ფერგიუსონი და მისი „ალისფერი ეშმაკუნები" ჯერჯერობით კი არიან პირველ ადგილზე, მაგრამ სავარაუდოა, უახლოეს მომავალში ლიდერმა და მდევარმა, ამ შემთხვევაში „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „არსენალმა" ადგილები გაცვალონ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, სეზონის ბოლოს იქნებ ასეც მოხდეს, მაგრამ... ჯობს, პროგნოზებისგან თავი შევიკავოთ, მალე ყველაფერი გაირკვევა — ჩემპიონატის დასრულებამდე თითქმის თვეა დარჩენილი, დრო კი ისე გაირბენს, უკან მოხედვას ვერ მოასწრებ.

და მაინც, გახდება „არსენალი" ჩემპიონი? — აი, კითხვა, რომელიც მუდმივად ისმის სეზონის მიწურულს, ოღონდ ამ წინადადებას ქვემდებარე ხშირად ეცვლება. „არსენალი" ამ ჩემპიონატს ალბათ მოიგებს, რადგან ჯერ ერთი, არსენ ვენგერის ბიჭები უკვე პოტენციური ლიდერები არიან, მეორეც — თუ პირველობისთვის მებრძოლი მანჩესტერლების და ლონდონელების (არსენალი) ამჟამინდელ თამაშს გავითვალისწინებთ, უპირატესობა ამ უკანასკნელთა მხარეს იქნება. ძლიერი კი მუდამ იმარჯვებს. ამას წინ ვერავინ აღუდგება.

კარგით, „არსენალის" საჩემპიონო შანსებზე ვთქვით, მაგრამ ისმის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი კითხვა (ვფიქრობთ, განსაკუთრებით ქართველი გულშემატკივრებისთვის) — შეძლებს „ნიუკასლი" პრემიერლიგაში დარჩენას? ხე-

### მანჩესტერი 1:1 ლივერპული

**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, იონსენი (მეი 43), პალისტერი, ფ. ნევილი (შერინგემი 65), სქოულზი, ბათი, გიგზი (ტორნლი 38), ბექემი, კოული
**ლივერპული:** ფრიდელი, ჯონსი, მატეო, ბები, ჰარკნესი, რედნაპი, ლეონარდსენი, მერფი (ბერგერი 75), მაკმანამანი, ინსი, ოუენი
1:0 იონსენი (12), 1:1 ოუენი (36)

— პირველობის შანსები არ დაგვიკარგავს, პირიქით, ვიმედოვნებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ — სტუმართა მწვრთნელ როი ევანსის სიტყვებში ეჭვი არ შეგეპაროს, არ იქნება. როგორ, რანაირად აპირებს ენფილდროუდელთა თავკაცი ორი ლიდერიდან (მანჩესტერი და არსენალი) ერთ-ერთის ჩამოშორებას? ამის საიდუმლო, ალბათ, მხოლოდ ევანსმა იცის, ერთი ეგაა, განხორციელება საკმაოდ რთული უნდა იყოს.

რაოდენ სამწუხაროა, როცა გუნდს მაშინ ეცლება ძალა, როცა ყველაზე მეტად საჭიროებს მას. მაგალითად „მანჩესტერ იუნაიტედიც" საკმარისია. გახსოვთ, რა შესანიშნავად თამაშობდა გუნდი სეზონის დასაწყისში? მანჩესტერელებმა უძლიერესად დაიწყეს ჩემპიონატი, მეტიც, ჩემპიონთა ლიგაში შინ და გარეთ ამარცხებდნენ მეტოქეთ, მაგრამ ახალი წლის შემდეგ მათი კრიზისი თვალში საცემი გახდა — მაისის თოვლივით გაქრა ამაღლვებელი თავდასხმები, ცეცხლოვანი იერიშები, წმინდა ინგლისური თვალწარმტაცი სანახაობა. რა დარჩა მათ ნაცვლად? — არაფერი ისეთი, ჩვეულებრივი იერიშები, საჯარიმოში თავით ბრძოლა, ხეირიანად ვერ მიწოდებული სამი-ოთხი გადაცემა, ერთი სიტყვით, ულიმღამო, მოსაწყენი ფეხბურთი. და ეს ყველაფერი მაშინ, როცა „მანჩესტერ იუნაიტედს" ასე სჭირდებოდა ძლევამოსილება.

არ მინდა, ზემოთქმულიდან ისეთი დასკვნა გამოიტანოთ, თითქოს გათავებულია „იუნაიტედი" და ეგაა. არა, „მანჩესტერი" ისე არასდროს დაეცემა, გაბრძოლება ვერ შეძლოს. უბრალოდ, ისეთი დონის გუნდს, ფერგიუსონმა რომ შექმნა, მოსაწყენი, ერთფეროვანი ფეხბურთი არ შეშვენის, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არაა...

ოუენმა მართლაც ძლიერად ითამაშა და „ლივერპულის" ერთ-ერთ ლიდერადაც მოგვევლინა ამ შეხვედრაში. ყმაწვილი უხეში ფეხბურთელი სრულებითაც არაა, უბრალოდ, მანჩესტერელებთან ნერვებმაც უმტყუნა და... რონი იონსენს (მან შესაძლოა ევრო 2000-ის შესარჩევ ტურნირში ქართველთა წინააღმდეგაც ითამაშოს, რადგან ნორვეგიელია) ისეთი დამარტა, ალბათ, ამ შეხვედრით დასრულდა სკანდინაველის ეს სეზონი.

— მერწმუნეთ, განზრახ არ მიუხეშია, უბრალოდ, რონის შეჩერება მინდოდა. სამწუხაროდ, მას ტრავმა მივაყენე — ოუენს მონანიების საშუალება მხოლოდ შეხვედრის დასასრულს მიეცა, მანამდე კი გაძევებულმა მაიკლმა და მისმა მხვერპლმა მინდორი ერთად დატოვეს, რადგან იონსენმა თამაში ველარ განაგრძო.

ინსი-მაკმანამანი-ოუენის სამეული, მეორე ნახევარში კი დუეტი უძლიერესად თამაშობდა. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ სამი მოთამაშის დამსახურებაა, „ლივერპულმა" გაყაიმება რომ შეძლო.

— 1:1 ლოგიკური ანგარიში გახლდათ, სწორედ ისეთი, ამ შეხვედრას რომ შეეფერებოდა. თამაში, ვფიქრობ კარგი, დაძაბული გამოდგა, ეს კი ორივე გუნდის დამსახურებაა. ჩემი აზრით, ყაიმით უფრო მანჩესტერელები დაზარალდნენ. რაც არ უნდა იყოს, ჩემპიონის ტიტულთან ისინი უფრო ახლოს დგანან, ვიდრე ჩვენ. „ოლდ ტრეფორდზე" მოპოვებულმა ქულამ კი ჩვენი საჩემპიონო პრეტენზიები კიდევ უფრო საფუძვლიანი გახადა — „ლივერპულის" ნახევარმცველმა სტივ მაკმანამანმა, რომელიც ძალიან გადაღლილიყო, ჟურნალისტებთან რამდენიმე წუთით საუბრისთვის მაინც მოიცალა.

### ჩელსი 2:0 ტოტენჰემი

**ჩელსი:** დე გუი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, დაბერი, ლე სო, ჰერლი (პოიეტი 59), უაიზი, მორისი (მეიერსი 84), ტ. ფლო, ვიალი
**ტოტენჰემი:** უოკერი, ფოქსი, ნილსენი, კარი, ვეგა, კემპბელი, ბერტი (ანდერსონი 82), ჟინოლა, საიბი, არმსტრონგი, (ფერდინანდი 57), კლინსმანი (კალდერვუდი 67)
1:0 ტ. ფლო (75), 2:0 ვიალი (88)

მასპინძელთა შემადგენლობაში თითქმის ექვსთვიანი შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდა გუსტავო პოიეტი.

### ვესტ ჰემი 0:0 დერბი

**ვესტ ჰემი:** ლამა, ანსუორსი, ფერდინანდი, პირსი (პოტსი 83), ლომასი, ლაზარიდისი, ლემპარდი, ბერკოვიჩი (მონკური 73), იმპი (აბუ 49), სინკლერი, ჰარტსონი
**დერბი:** პოომი, როუეტი, პაუელი, შტიმაცი, სტარიჯი (ბარტონი 64), დელაპი, ბოჰინენი, კერსლი, ერანიო, დეილი, ვენჩოპი (ბაიანო 84)

ორი გაძევება და 10 გაფრთხილება — ეს უგოლოდ დასრულებული მატჩისთვის ძალიან ბევრია.

### ევერტონი 2:0 ლიდსი

**ევერტონი:** მერი, ოკინი, შორტი, ბიგრი, ბოლი, ატკინსონი, ტილერი, მაკენი, სპენსერი, ბარმბი (ფარელი 73), ფერგიუსონი (მადარი 73)
**ლიდსი:** მარტინი, კელი, რადებე, უეზეროლი, ბოუერი, ჰალე, კიუელი (ლილი 87), ჰარტე, ჰიდენი, მოლენაარი (ჰაალანდი 46), ჯიმი
1:0 ატკინსონი (10), 2:0 ფერგიუსონი (38)

„ჰადსონ პარკზე" ნათამაშევ ბოლო რვა შეხვედრაში „ლიდსს" მხოლოდ ერთხელ მოუგია. სტუმართათვის უსიამოვნო სტატისტიკა არც ამჯერად შეცვლილა.

### ქოვენთრი 1:2 ასტონ ვილა

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუზი, ბრინი, ნილსონი, ვილანი, ტელფერი, სოლტვედტი (მოლდოვანი 75), ბოატენგი (ჰოლი 46), ჰაკერბი, დაბლინი
**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, სტონტონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი, იოაკიმი, რაიტი, გრეისონი, ჰენდრი, მილოშევიჩი (შიმეცა 62), იორკი
0:1, 0:2 იორკი (5, 48), 1:2 ვილანი (59)

ბორმინგემელებმა ახალი მწვრთნელის ჯონ გრეგორის თავკაცობით ნათამაშევი მეშვიდე მატჩიდან მეექვსე მოიგეს.

### ბარნსლი 2:1 შეფილდი

**ბარნსლი:** უოტსონი, იდენი, მოუზისი, დე ზიუ, ჰენდრი (ფიორტოფტი 53), ბალოკი, ბოზანჩიჩი, ჯონსი, კრიჟანი, უორდი, რედფერნი
**შეფილდი:** პრესმენი, პემბრიჯი (კარბონე 66), უოკერი, უიტინგემი, ბუთი, სტეფანოვიჩი, ჰინჩკლიფი, სედლოსკი (ჰიდი 46), ტომი, ბარეტი, დი კანიო
1:0 უორდი (55), 2:0 ფიორტოფტი (72), 2:1 სტეფანოვიჩი (86)

„შეფილდ უენსდეიმ" ზედიზედ მეხუთე გასვლითი მატჩი წააგო.

### ბოლტონი 2:1 ბლექბერნი

**ბოლტონი:** ბრენეგენი, კოქსი, ფიში, ტომპსონი, ელჯოფრი, ფეირკლაფი, შერიდონი, ტოდი, ფრანდსენი, ბლეიკი, ჰოლდსუორსი (ტეილორი 59)
**ბლექბერნი:** ფეტისი, კენა, შერვუდი (პერლი 76), ჰენდრი, უილკოქსი, ფლიტკროფტი, დაფი, ენჩოსი, მაკინლი, სატონი, გალაჰერი (დალინი 76)
1:0 ჰოლდსუორსი (20), 1:1 დაფი (51), 2:1 ტეილორი (67)

თუ გავითვალისწინებთ მას, რომ სტუმართა დაცვას შოტლანდიელი კოლინ ჰენდრი ლიდერობს, მაშინ ბოლო შვიდ მატჩში „ბლექბერნის" კარში გასული 20 გოლი სრულადაც არ გაგვიკვირდება.

### კრ. პალასი 0:3 ლესტერი

**კრ. პალასი:** მილერი, ედვორსი, გორდონი, ვერპარსტი (ბენტი 75), როჯერი, სმიტი, ისმაელი, ფალერტონი, ბილიო (დაიერი 55), ლომბარდო, პადოვანო (ჩურჩიჩი 55)
**ლესტერი:** კელერი, იზეტი, ლენონი, ჰესკი, სევიჯი (უილსონი 81), კამარკი, პრიორი, ელიოტი, ფენტონი (მარშალი 81), ჯაპი, ზაგორაკისი (პარკერი 72)
0:1, 0:2 ჰესკი (45, 60), 0:3 ელიოტი (74)

ვერ გეტყვით, იხუმრა, თუ სერიოზულად თქვა, მაგრამ მასპინძელთა მოთამაშე მწვრთნელმა ატილიო ლომბარდომ სერიოზული სახით განაცხადა, უკეთესად შეგვეძლო გვეთამაშაო.

### საუთჰემპტონი 0:1 უიმბლდონი

**საუთჰემპტონი:** ჯონსი, დოდი, ბენალი (მონკუ 82), რიჩარდსონი (უილიამსი 57), ლუნდეკვამი, დრაიდენი, ჰიუზი, პალმერი, ჰერსტი (დევისი 57), ოსტენსტადი, ბერესფორდი
**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, ტეტჩერი, პერი, ბელკველი, ერდლი, ერლი, რობერტსი, გეილი (კ. ჰიუზი 69), ლებერნი, მ. ჰიუზი
0:1 ლებერნი (38)

„საუთჰემპტონის" შინ დამარცხება, ალბათ, მათი უკვდავი ლიდერის მეტ ლე ტისიეს არყოფნამ გამოიწვია.

ლაშა გოლუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 34 | 20 | 7 | 7 | 64:25 | 67 |
| არსენალი | 31 | 18 | 9 | 4 | 52:27 | 63 |
| ლივერპული | 32 | 15 | 10 | 7 | 55:35 | 55 |
| ჩელსი | 33 | 17 | 3 | 13 | 63:38 | 54 |
| ლიდსი | 34 | 16 | 6 | 12 | 50:37 | 54 |
| ბლექბერნი | 32 | 14 | 9 | 9 | 53:44 | 51 |
| ვესტ ჰემი | 32 | 14 | 6 | 12 | 44:40 | 48 |
| ასტონ ვილა | 34 | 14 | 6 | 14 | 42:43 | 48 |
| დერბი | 32 | 13 | 7 | 12 | 44:41 | 46 |
| ლესტერი | 32 | 11 | 11 | 10 | 39:33 | 44 |
| ქოვენთრი | 32 | 11 | 11 | 10 | 38:38 | 44 |
| საუთჰემპტონი | 33 | 13 | 4 | 16 | 41:45 | 43 |
| უიმბლდონი | 32 | 10 | 10 | 12 | 31:34 | 40 |
| შეფილდი | 33 | 11 | 7 | 15 | 47:60 | 40 |
| ევერტონი | 33 | 9 | 10 | 14 | 38:47 | 37 |
| ნიუკასლი | 32 | 9 | 9 | 14 | 29:38 | 36 |
| ტოტენჰემი | 33 | 9 | 8 | 16 | 33:51 | 35 |
| ბოლტონი | 33 | 7 | 13 | 13 | 31:49 | 34 |
| ბარნსლი | 33 | 10 | 4 | 19 | 35:74 | 34 |
| კრ. პალასი | 32 | 6 | 8 | 18 | 27:57 | 26 |

## პირველი დივიზიონი

42-ე ტური: ვულვერჰემპტონი — სიტი 2:2; ჩარლტონი — რედინგი 3:0; სანდერლენდი — ქუინზ პარკი 2:2; ბირმინგემი — პორტ ვეილი 1:1; ბრედფორდი — ნოტინგემი 0:3; ჰადერსფილდი — ქრიუ 2:0; იფსვიჩი — ტრანმერი 0:0; მიდლსბრო — ბერი 4:0; ოქსფორდი — სვინდონი 2:1; შეფილდ იუნაიტედი — ნორვიჩი 2:2; სტოკპორტი — ვესტ ბრომვიჩი 2:1; სტოკი — პორტსმუთი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 42 | 26 | 8 | 8 | 75:39 | 86 |
| სანდერლენდი | 41 | 23 | 11 | 7 | 73:42 | 80 |
| მიდლსბრო | 41 | 23 | 9 | 9 | 69:39 | 78 |
| ჩარლტონი | 42 | 23 | 9 | 10 | 76:49 | 78 |
| შეფილდ იუნ. | 40 | 18 | 15 | 7 | 59:43 | 69 |
| იფსვიჩი | 41 | 18 | 14 | 9 | 65:40 | 68 |
| ბირმინგემი | 42 | 16 | 16 | 10 | 54:35 | 64 |
| ვულვზი | 41 | 17 | 10 | 14 | 49:42 | 61 |
| სტოკპორტი | 42 | 17 | 7 | 18 | 64:61 | 58 |
| ოქსფორდი | 42 | 16 | 8 | 18 | 57:56 | 56 |
| ბრედფორდი | 42 | 14 | 14 | 14 | 44:48 | 56 |
| ვესტ ბრომვიჩი | 42 | 15 | 11 | 16 | 42:49 | 56 |
| სვინდონი | 42 | 14 | 9 | 19 | 40:62 | 51 |
| ჰადერსფილდი | 42 | 13 | 11 | 18 | 49:60 | 50 |
| ქრიუ | 41 | 15 | 5 | 21 | 46:59 | 50 |
| ტრანმერი | 41 | 12 | 12 | 17 | 45:50 | 48 |
| პორტ ვეილი | 42 | 12 | 10 | 20 | 51:59 | 46 |
| ქუინზ პარკი | 42 | 10 | 16 | 16 | 47:58 | 46 |
| ბერი | 42 | 9 | 19 | 14 | 39:54 | 46 |
| ნორვიჩი | 42 | 11 | 13 | 18 | 41:67 | 46 |
| სიტი | 42 | 11 | 11 | 20 | 49:51 | 44 |
| პორტსმუთი | 42 | 11 | 10 | 21 | 45:60 | 43 |
| სტოკ სიტი | 42 | 10 | 13 | 19 | 40:64 | 43 |
| რედინგი | 42 | 11 | 9 | 22 | 37:69 | 42 |

## შოტლანდია

XXXII ტური

### რეინჯერსი 2:0 სელტიკი

**რეინჯერსი:** გორამი, კლელანდი, ალბერტსი, გაფი, ამორუზო, ბიორკლუნდი, ტერნი, მაკოისტი, დიური (გატუზო 70), მაკკოლი, ლაუდრუპი
**სელტიკი:** გოლდი, ბოიდი, ანონი, დონელი, რიპერი, სტაბსი, ლარსონი, ბარლი, ჯეკსონი (ბრატბაკი 23), ლამბერტი, ოდონელი
1:0 ტერნი (24), 2:0 ალბერტსი (66)

ცხრა წელია, შოტლანდიის პირველობას ერთი და იგივე გამარჯვებული ჰყავს — „გლაზგო რეინჯერსი". წინა წლებში ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდს ვერც ერთი მეტოქე ვერ უტოლდებოდა. რეინჯერსელებიც ადვილად იგებდნენ ჯილდოებს, ერთი ეგ იყო, შინაური სარბიელის დარად, წარმატებებს კონტინენტზე ვერ ჰპოვებდნენ, რამაც 60-70-იან წლებში მოპოვებული პრესტიჟი გარკვეულწილად შელახა.

დგება დრო და ყველაფერი გბეზრდება. წლობით ნაოცნებარიც, რის მისაღწევადაც თავის დროზე ბევრი ოფლი გიღვრია. „რეინჯერსს" 80-იან წლებში ჩემპიონის ტიტული სანატრელი ჰქონდა — თანაქალაქელი „სელტიკი" გაცილებით ძლიერი გახლდათ და იმ ხანებში უმეტესწილად ჩემპიონიც იგი ხდებოდა, მაგრამ გასულ ათწლეულის ბოლოს „რეინჯერსმა" ნავსი გატეხა, ქვეყნის უძლიერესი გუნდის სახელი დაიგდო და ზედიზედ ცხრა წელია, პირველობა არავისთვის დაუთმია, წლეულს კი როგორც ჩანს, რეინჯერსელებს მობეზრდათ მუდამ ჩემპიონობა. წელსაც იოლად აპირებდნენ პირველობას, მაგრამ...

წლევანდელი სეზონიც ჩვეულებრივად დაიწყო, „რეინჯერსი" ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ „სელტიკმა" და პროვინციულმა „ჰართსმა" მუხლში ძალა იგრძნეს და ამაყი ჩემპიონები დააქვეითეს კიდეც. ერთი სიტყვით, ამ სეზონში რეინჯერსელებს საქმე საჩოთიროდ გაუხდათ, თუმცა გუშინდელი გამარჯვებით ჩემპიონობის შანსები კვლავ შეინარჩუნეს — შვედი იონას ტერნის და გერმანელი იორგ ალბერტსის ორმა ზუსტმა დარტყმამ „გლაზგო რეინჯერსს" „სელტიკი" ბოლო 14 შეხვედრაში მეთორმეტედ დაამარცხებინა. ახლა ლიდერ „სელტიკის" ძლევა გაცილებით იოლი გახდა, ვიდრე ადრე.

რამდენიმე ხნის წინ ჩვენ ჩამოწერილად გვთვლიდნენ, მაგრამ დავამტკიცეთ, ეს ასე რომ არ იყო. სეზონის ბოლოს კლუბს ვტოვებ, შევეცდები ჩემი წასვლა „რეინჯერსის" ზედიზედ მეათე გაჩემპიონებას დავამთხვიო — გამარჯვებულთა თავკაცი უოლტერ სმიტი სიხარულისგან გაბადრულიყო.

რას წარმოადგენს „ჰართსი" ერთ პატარა ედინბურგული გუნდია. გუ-
შ

„ჰართსი" ქალაქურ დერბიში ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ „ჰიბერნიანს" ხვდებოდა და მეტოქის ძლევა თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ...

— ჩვენ დავამტკიცეთ, რომ პრემიერლიგაში თამაშის ღირსნი ვართ — იტყვის გადამწყვეტი გოლის ავტორი, შოტლანდიის ახალგაზრდული გუნდის წევრი კევინ ჰარპერი, რომელმაც წამებში დაამსხვრია თანაქალაქელთა იმედები.

„ჰართსი" ორჯერ ჩამორჩა „ჰიბერნიანს", მაგრამ თუ ერთხელ საუკეთესო ბომბარდირის, ჯონ რობერტსონის საჯარიმო დარტყმით გააყაიმა, მერე იგივე ველარ მოახერხა...

ტურის სხვა მატჩები. დანდი იუნაიტედი — აბერდინი 0:0; ჰიბერნიანი — ჰართსი 2:1; მოზერველი — კილმარნოკი 1:1; სენტ ჯონსტონი — დანფერმლაინი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 32 | 20 | 6 | 6 | 57:22 | 66 |
| რეინჯერსი | 31 | 18 | 9 | 4 | 68:35 | 63 |
| ჰართსი | 32 | 18 | 8 | 6 | 65:40 | 62 |
| სტ. ჯონსტონი | 32 | 11 | 8 | 13 | 32:37 | 41 |
| კილმარნოკი | 32 | 10 | 10 | 12 | 35:50 | 40 |
| მოზერველი | 32 | 9 | 7 | 16 | 41:52 | 34 |
| დანდი იუნ. | 31 | 7 | 12 | 12 | 38:43 | 33 |
| აბერდინი | 32 | 7 | 11 | 14 | 33:48 | 32 |
| დანფერმლაინი | 31 | 7 | 10 | 14 | 36:61 | 31 |
| ჰიბერნიანი | 31 | 6 | 9 | 16 | 35:52 | 27 |

## იტალია

XXIX ტური

**უდინეზე 2:0 ბარი**

უდინეზე: ტურჩი, ძანკი, კალორი, პიერინი, პინედა (ბაკინი 56), ჯანიკედა, აპია (ვალენი 73), იორგენსენი, ლოკატელი, ბირჰოფი, ამორიზო (პელეგგი 46)
ბარი: მანჩინი, დე როსა (კარდაშიო 80), გარსია, ნეჭროიზი, სალა, ძამბროტა, ვოლპი, მარკოლინი (გუერერო 60), მანიგეტი, მასინგა, ალბაკი (დოლი 73)
1:0, 2:0 ბირჰოფი (54, 58)
გაფრთხილება: კალორი, ჯანიკედა, მარკოლინი, მანიგეტი, პიერინი

**სამპდორია 3:0 ემპოლი**

სამპდორია: ფერონი, ბალერი, ჰუგო (ნავა 80), მანინი, მიხაილოვიჩი, ლაილე, ვერგასოლა (პუზარეზი 46), ფრანჩესკეტი, ბოლოსიანი, ვერონი (სოარეში 84), მონტელა
ემპოლი: როკატი, ფუსკო, ბალდინი (ბეტელა 55), ბიანკონი, ამეტრანო (ტონეტო 66), პანე, ბონომი, ფიკინი, ლუჩენტი, ესპოზიტო, ფლორიანჩიჩი
1:0, 2:0 მონტელა (40, 85), 3:0 ლაილე (90)
გაფრთხილება: ფრანჩესკეტი, მიხაილოვიჩი, ბეტელა, ბიანკონი, ვერგასოლა, ბონომი
გაძევება: ფრანჩესკეტი (85)

**რომა 1:2 ინტერი**

რომა: კონსელი, კაფუ, პეტრუცი, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულო სერჯიო (გაუტიერი 84), ბალბო (დელვეკიო 62), ტოტი
ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, ვესტი, სარტორი, კოე, ზე ელიასი (სოუზა 66), სიმეონე, ზანეტი (კანუ 76), ჯორკაეფი, რონალდო
0:1 რონალდო (50), 1:1 კაფუ (63), 1:2 რონალდო (75)
გაფრთხილება: დი ფრანჩესკო, პეტრუცი, სიმეონე, სატორი, პალიუკა, კოე

# ძირს მარადონას აჩრდილი!

**პარმა 3:1 ნაპოლი**

პარმა: ბუფონი, ბენარივო, ტურამი, აპოლონი, მორა, კრიპა, სენსინი, ფიორე (ორლანდინი 70), ბლომკვისტი (ჯუნტი 63), კრესპო, კიეზა (ადაილტონი 72)
ნაპოლი: ტალიალატელა, გორეტი, კრასონი, ბალდინი, აიალა, სკარლატო (ასანოვიჩი 80), როსიტო, ლონგო, ალტომარე, ბელუჩი, პროტი (სტოიაკი 46)
1:0 კრესპო (2), 1:1 ბელუჩი (68), 2:1 აპოლონი (75), 3:1 კრესპო (85)
გაფრთხილება: ლონგო, კრიპა
გაძევება: როსიტო (86), ალტომარე (87)

**მილანი 3:0 ატალანტა**

მილანი: ს. როსი, დაიი, კოსტაკურტა, სმოიე, მალდინი, ბა, ალბერტინი, დესაი, ლეონარდო (მანიერო 70), განცი (მაიინი 73), ვეა (ბელუფა 90)
ატალანტა: ფონტანა, მირკოვიჩი, სოტილი, კარერა, რუსტიკო, ბონაჩინა (ბოსელი 55), სგრო, პიაჩენტინი (კარბონე 58), გალო, როსინი (კაჩა 64), მაგალანეში
1:0, 2:0, 3:0 ვეა (10, 53, 87)
გაფრთხილება: სმოიე, რუსტიკო
გაძევება: სოტილი (6)

**ლეჩე 1:1 ბოლონია**

ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, კიპრიენი, ბელუჩი, ვიალი, კოჩა, კონტიკიო, გოვედარიცა, კასალე (როსინი 87), იანუცი (ატელკინი 55), პალმიერი
ბოლონია: სტერკელე, პარამატი, პაგანინი, მანგონე, ნერვო, მაგონი, მაროკი, ტარანტინო, შალიმოვი (რ. ბაჯო 64), ანდერსონი (ფონტოლანი 54), კოლივანოვი (პავონე 87)
1:0 ატელკინი (66), 1:1 ფონტოლანი (75)
გაფრთხილება: ატელკინი, მანგონე, გოვედარიცა, ბელუჩი

**იუვენტუსი 2:0 პიაჩენცა**

იუვენტუსი: პერუცი (რამპულა 79), ბირინდელი, იულიანო, მონტერო (პესოტო 59), დი ლივიო, დეშამპი, დევიდსი, ზიდანი, ტაკინარდი, ინძაგი (კონტე 67), დელ პიერო
პიაჩენცა: სერენი, მ. როსი, დელი კარი, ვერხოვოდი, ტრამეცანი, შიენძა (ბორდინი 72), მაცოლა, ვალოტი, პიოვანი, დიონიჯი (მურჯიტა 67), რასტელი (ვალტოლინა 62)
1:0 ზიდანი (53), 2:0 დელ პიერო (81)
გაფრთხილება: იულიანო, ვალოტი, პიოვანი, ტრამეცანი, ვალტოლინა
გაძევება: მ. როსი (81)

**ფიორენტინა 1:1 ვიჩენცა**

ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, ფირიკანო (რობიატი 74), პადალინო, სერენა (ტარუცი 21), კოისი, რუი კოშტა, შვარცი, ედმუნდო, ბატისტუტა, ოლივეირა
ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, ბელოტი, დიჩარა, კოკო (კონტე 80), მენდესი, ვივიანი, დი კარლო, ბეგეტო (ფირმანი 89), ძაული, დი ნაპოლი (სკენარდი 66)
0:1 მენდესი (11), 1:1 ოლივეირა (33)
გაფრთხილება: ტარუცი, ფირიკანო, კოისი, დი კარლო, სკენარდი, ძაული, ბატისტუტა, ედმუნდო

**ბრეშა 1:1 ლაციო**

ბრეშა: ჩერვონე, დიანა, ადანი, კორადო (პირლო 68), კოზმინსკი, ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, დე პაოლა, ბანინი, ნერი (იავორჩიჩი 74), ჰუბნერი
ლაციო: მაკეჯანი, პანკარო (გრანდონი 46), ნესტა, ნეგრო, ფავალი, ფუზერი, ვენტურინი, იუგოვიჩი, გოტარდი (მანჩინი 68), რამბაუდი (ბოკშიჩი 76), კაზირაგი
0:1 რამბაუდი (10), 1:1 დიანა (70)
გაფრთხილება: ფავალი, დიანა

„იუვენტუსმა“ და „ინტერმა“ მოიგეს. ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე მათ შორის კვლავ ერთი ქულაა სხვაობა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 26 აპრილს, ტურინში ლიდერთა უშუალო დაპირისპირებისას გადაწყდება „სკუდეტოს“ ბედი.

„ლაციომ“ ფრედ ითამაშა „ბრეშასთან“. თუ გავიხსენებთ, რომ რომაელებმა წინა ტურში შინ წააგეს „იუვესთან“, მარტივი არითმეტიკა მათ მიერ ორ ტურში დაკარგულ ხუთ ქულას გვიჩვენებს, რაც სეზონის მიწურულს ხელის საბედისწეროდ მოცარვას ნიშნავს. ახლა „ლაციო“ „იუვენტუსს“ 7 ქულით ჩამორჩება, „ინტერს“ — 6-ით.

გაირკვა ერთი გავარდნილის ვინაობაც. „ნაპოლი“, რომელიც 80-იან წლებში დიეგო მარადონას დიდოსტატობის წყალობით სერია A-ს ჩემპიონი გახდა და უეფას თასიც მოიპოვა, „პარმასთან“ დამარცხებამ მომავალ სეზონში სერია B-ში სათამაშოდ გაწირა.

„იუვენტუსისა“ და „პიაჩენცას“ შეხვედრაში მასპინძლებმა შესვენებამდე გოლის გატანა ვერ მოახერხეს. შესვენების შემდეგ, 53-ე წუთზე, ალესანდრო დელ პიერომ კუთხური მეკარის ბაქანში ჩააწოდა. ფრანგმა გამთამაშებელმა ზინედინ ზიდანმა კი ბურთს თავი გაჰკრა და ანგარიში გაიხსნა. მეორე და თამაშის ბოლო გოლი თავად დელ პიეროს ოსტატობის შედეგი გახლდათ. მან ანჯელო დი ლივიოს წამოწყებას აუბა მხარი, ბურთი მკერდით გაიგდო, მეტოქის მეკარე მატეო სერენი მოატყუა და ისე გადააკვეთინა კარის ხაზი. ალსანიშნავია, რომ ამ მატჩის პირველ ტაიმში ზიდანის 30 მეტრიდან დარტყმული „პიაჩენცას“ კარის ძელს მოხვდა.

საინტერესო ფაქტი: „იუვემ“ ანგარიში მხოლოდ მას მერე (სამ წუთში) გახსნა, რაც იტალიის დედაქალაში „რომასა“ და „ინტერის“ შეხვედრაში, რონალდომ მილანელები დააწინაურა და ეს ამბავი ტურინის „დელე ალპიზე“ გამოაცხადეს.

რონალდო რომაელებს საწყისი წუთიდანვე საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. პირველმა ტაიმმა ისე გაიარა, რომ ბრაზილიელ ვარსკვლავს საყურადღებო არაფერი ჩაუდენია, მაგრამ მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე ფრანგი ბენუა კოეს პასი და რონალდოს მეურვეთაგან დასხლტა ერთი გამოდგა, მან მასპინძელთა ავსტრიელ მეკარეს მიხაელ კონსელს შემოურბინა და ანგარიში გახსნა. ცოტა ხანში „რომამ“ გაქვითა. გოლი რონალდოს თანამემამულემ კაფუმ შეაგდო, მაგრამ 75-ე წუთზე „შავ-ლურჯებმა“ ისევ ძალა იხმარეს. ამჯერად პასი არგენტინელმა ხავიერ ძანეტიმ შეასრულა. რონალდოს პირველი დარტყმა კონსელმა ჩაჰგრა, მაგრამ განმეორებითი ველარაფერი მოუხერხა — რონალდომ სეზონში 21-ე გოლი გაიტანა და სერია A-ს ბომბარდირთა სიას „უდინეზეს“ გერმანელ თავდამსხმელთან ოლივერ ბირჰოფთან ერთად ლიდერობს.

— ჩვენს გუნდში მარტო რონალდო არაა. „ინტერში“ თამაშობს ხალხი, ვინც მას საგოლე მდგომარეობას უქმნის — აღნიშნა თამაშის შემდეგ მილანის გუნდის მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ.

„ლაციომ“ ბრეშაში მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ შემდგომ შექმნილი სახიფათო მომენტები ველარ გამოიყენა და ამისათვის დაისაჯა — 70-ეზე დანიელე ადანიმ ანგარიში გაათანაბრა.

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „უდინეზეს“ მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ ჩვეული შემადგენლობის ხუთი მოთამაშე გამოცვალა, მაგრამ „ბარი“ ისევ ძველმა და ნაცადმა ბირჰოფმა დაამარცხებინა. გერმანელმა მეორე ტაიმის საწყის ხუთ წუთში ორი გოლი გაიტანა.

პარმაში კი თამაშის დამთავრების შემდეგ „ნაპოლის“ გოლკიპერმა ჯუზეპე ტალიალატელამ ცხარე ცრემლით იტირა. გუნდი, რომელიც 1965 წლის შემდეგ იტალიის უმაღლეს საფეხბურთო ლიგას არ გამოშვიდობებია, ახლა ეთხოვება მას. ნეაპოლელთა ახლანდელმა მწვრთნელმა ვინჩენცო მონტეფუსკომ სერია A-დან გავარდნა, რაგინდ საოცრად გეჩვენოთ, განთავისუფლებად მიიჩნია. ცხადია, აქ სერია A-სგან განთავისუფლებაზე არ არის ლაპარაკი, აქ საუბარია დიეგო მარადონას აჩრდილისა და კომპლექსისგან განთავისუფლებაზე. თურმე 80-იანი წლების დიდებამ და მარადონას ფაქტორმა გუნდზე ცუდი გავლენა იქონია. ნეაპოლში ვერ მიხვდნენ, რომ ის ეპოქა დასრულდა და ახალი გზაა საძებნი. შედეგად ჭირმა თავი არ დამალა და მოსახდენი მოხდა. ახლა „ნაპოლის“ ხელმძღვანელობა ცხვირით კედელსაა დაჯახებული. ის, რასაც თავად ვერ მიხვდნენ, ცხოვრებამ მოუშიშვლა და ისე აჩვენა.

ჟორჟ ვეამ „მილანის“ ზედიზედ სამი მარცხი 3:0 გამარჯვებად შეაბრუნა. ამ საქმეში ლიბერიელმა სამგოლიანი წილი დაიდო.

პაპუნა ძიძია



იუვენტუსი — პიაჩენცა. შიენძა (მარცხნივ) დეშამპს კი შეეწინააღმდეგა, მაგრამ...

REUTERS ტურინიდან

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 29 | 18 | 9 | 2 | 61:25 | 63 |
| ინტერი | 29 | 19 | 5 | 5 | 55:23 | 62 |
| ლაციო | 29 | 16 | 8 | 5 | 49:19 | 56 |
| უდინეზე | 29 | 15 | 7 | 7 | 51:34 | 52 |
| რომა | 29 | 13 | 10 | 6 | 50:35 | 49 |
| პარმა | 29 | 13 | 10 | 6 | 47:32 | 49 |
| ფიორენტინა | 29 | 12 | 12 | 5 | 54:31 | 48 |
| მილანი | 29 | 11 | 9 | 9 | 36:32 | 42 |
| სამპდორია | 29 | 11 | 7 | 11 | 45:50 | 40 |
| ბოლონია | 29 | 9 | 11 | 9 | 43:39 | 38 |
| ვიჩენცა | 29 | 8 | 7 | 14 | 31:54 | 31 |
| ემპოლი | 29 | 8 | 6 | 15 | 39:48 | 30 |
| ბარი | 29 | 8 | 6 | 15 | 25:40 | 30 |
| ბრეშა | 29 | 7 | 8 | 14 | 38:48 | 29 |
| პიაჩენცა | 29 | 5 | 14 | 10 | 20:33 | 29 |
| ატალანტა | 29 | 5 | 10 | 14 | 21:43 | 25 |
| ლეჩე | 29 | 5 | 7 | 17 | 28:61 | 22 |
| ნაპოლი | 29 | 2 | 6 | 21 | 21:67 | 12 |

## სერია B

29 ტური. პერუჯა — რეჯანა 2:0; კალიარი — ტორინო 2:2; ფ.ანრია — ჯენოა 2:0; ლუკეზე — სალერნიტანა 1:1; მონცა — კიევო 1:0; პადოვა — რავენა 0:0; პესკარა — ვენეცია 2:1; რეჯინა — დი სანგრო 2:1; ტრევიზო — ფოჯა 3:3; ვერონა — ანკონა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 29 | 16 | 11 | 2 | 52:22 | 59 |
| ვენეცია | 29 | 14 | 9 | 6 | 41:24 | 51 |
| კალიარი | 29 | 13 | 12 | 4 | 41:24 | 51 |
| ტორინო | 29 | 12 | 9 | 8 | 41:35 | 45 |
| რეჯანა | 29 | 11 | 8 | 10 | 31:26 | 41 |
| პერუჯა | 29 | 10 | 11 | 8 | 32:32 | 41 |
| რეჯინა | 29 | 10 | 11 | 8 | 27:29 | 41 |
| ჯენოა | 29 | 11 | 7 | 11 | 45:44 | 40 |
| კიევო | 29 | 10 | 10 | 9 | 31:31 | 40 |
| ტრევიზო | 29 | 9 | 12 | 8 | 34:34 | 39 |
| პესკარა | 29 | 10 | 8 | 11 | 32:38 | 38 |
| ვერონა | 29 | 10 | 7 | 12 | 36:30 | 37 |
| ფ. ანდრია | 29 | 9 | 10 | 10 | 32:33 | 37 |
| ლუკეზე | 29 | 9 | 9 | 11 | 27:34 | 36 |
| მონცა | 29 | 6 | 15 | 8 | 35:38 | 33 |
| რავენა | 29 | 7 | 10 | 12 | 29:33 | 31 |
| პადოვა | 29 | 6 | 11 | 12 | 22:36 | 29 |
| ფოჯა | 29 | 6 | 10 | 13 | 32:43 | 28 |
| ანკონა | 29 | 6 | 10 | 13 | 33:48 | 28 |
| დი სანგრო | 29 | 3 | 14 | 12 | 30:49 | 23 |




# შოთა არველაძე ჩემპიონია!

დასაწყისი პირველ გვერდზე

— მართალია, თუმცა „ჰეერენთან“ თამაში მაინც ბევრს წყვეტდა. ვგრძნობდი, ჩემპიონობას ვერავინ შეგვეცილებოდა, მაგრამ როცა ყველაფერი საბოლოოდაა გადაწყვეტილი, სხვა საქმეა. სიხარულიც ორმაგია. ახლა ერთი სული მაქვს, როდის დასრულდება ჩემპიონატი და ოფიციალურად როდის გამოგვაცხადებენ ჩემპიონებად.

**— აჩიც კონკურენტია. მასაც გაუხარდებოდა ძმის გაჩემპიონება.**

— აბა, როგორ. ისე, „ბრედამაც“ კარგად იცოდა, „აიაქსის“ დამჩაგვრელი რომ არავინ იყო.

**— თავად როგორაა? ტრანსფერთან დაკავშირებით ახალი არაფერია?**

— წინადადებები ბლომად აქვს. ბევრია მისით დაინტერესებული, ალბათ, რომელიმე კლუბს ამოარჩევს.

**— რომელ გუნდებზეა ლაპარაკი?**

— არა, არაფერს გეტყვი. წინასწარ რაც ვთქვით, ყველა ვარიანტი ჩაიშალა.

**— მაშინ, ქინქლაძის შესახებ გვითხარი...**

— გაიგებდით, „სიტი“ და ჩვენები ფასზე რომ ვერ შეთანხმდნენ. თუმცა ეგ არაფერი, „აიაქსის“ პრეზიდენტსა და მორტენ ოლსენს გიოს შეძენის იმედი არ დაუკარგავთ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ქინქლაძეს ამსტერდამში ჩამოვიყვანთო, ამბობენ. მეც ხშირად მესაუბრებიან, შენ და გიო კარგი ტანდემი იქნებითო. ჩემპიონობა ხომ გამიხარდა, ახლა თუ ქინქლაძის ამბავიც დადებითად გადაწყდა, ამას აღარაფერი აჯობებს.

**— კარგი, შოთა. კიდევ ერთხელ გილოცავთ და ჩემპიონთა ლიგაში შენს თამაშს ველით.**

— ჩემპიონობას ხომ ვოცნებობდი, არანაკლებ ლიგაში თამაშსაც. ესეც ავისრულე. ლიგაზე პრესტიჟული, აბა, რომელი საკლუბო გათამაშებაა?..

შოთასთან საუბარს მოვრჩით და ყოფილი „ცხუმელი“ გოჩა ჟორჟოლიანიც გაგვახსენდა. ჩინეთის „შანხაი შენხუას“ შემადგენლობაში ისიც ჩემპიონი გახდა.

**კოგა ინასარიძე**

## ჰოლანდია

**სპარტა 3:1 ეინდჰოვენი**

1:0, 2:0 რენფურმი (14, 39), 3:0 დე ნოაიერი (58), 3:1 ნილისი (65)

**ვალვაიკი 3:2 ფეიენოორდი**

1:0 ნილსენი (6), 1:1 კრუზი (15), 2:1 ვან არუმი (81), 2:2 კრუზი (88), 3:2 ვან არუმი (90)

**ნაიმეგენი 2:2 სიტარდი**

1:0 ივნსენი (21), 2:0 პესპი (69), 2:1 ჯეფრი (69), 2:2 რუსტი (81)

**როდა 2:0 ტვენტე**

1:0 კამპუიზი (5ს.კ.), 2:0 პიტერსი (40)

**ვიტესი 4:1 გრააფსხაპი**

1:0 დი მარში (13), 2:0 მახლასი (16), 3:0 ჩუროვიჩი (29), 3:1 ვისკაალი (30), 4:1 მახლასი (68)

**ბრედა 2:1 უტრეხტი**

1:0 ბოგდანოვიჩი (6), 1:1 ჰერნანდესი (40), 2:1 გუდელი (67)

**აიაქსი 7:2 ჰერენვენი**

აიაქსი: ვან დერ სარი, მელხიოტი, ბლინდი (რუდი 46), ფ. დე ბური, ოლისე, რ. დე ბური (სიერი 46), ვიჩხე, ლაუდრუპი, ლიტმანენი, არველაძე, ბაბანგიდა
1:0 რ. დე ბური (14), 2:0 ოლისე (25), 3:0 არველაძე (31), 4:0 ლაუდრუპი (48), 4:1 სამარჯიჩი (51), 5:1 ლიტმანენი (61з), 6:1 არველაძე (66), 6:2 სამარჯიჩი (74), 7:2 არველაძე (85)

„ეინდჰოვენის“ თეორიული შანსი, გამხდარიყო ჰოლანდიის ჩემპიონი, გუშინ როტერდამის „სპარტასთან“ 1:3 მარცხის შემდეგ უკვალოდ გაქრა, რადგან შაბათს, „აიაქსმა“ 7:2 მოუგო „ჰერენვეენს“ და ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე 18 ქულიან უპირატესობას მიაღწია.

ამრიგად ამსტერდამისა და ქართველი თავდამსხმელის, შოთა არველაძის გუნდი 27-ედ გახდა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მფლობელი — პირველად დანიელი მწვრთნელის მორტენ ოლსენის ხელში.

გადამწყვეტ თამაშში, „ჰერენვეენის“ კარში სამი გოლი არველაძემ გაიტანა.

„ეინდჰოვენმა“ ბოლო დროს ნამდვილი კაპიტულაცია გამოაცხადა. წინა ტურში „მაასტრიხტთან“ 1:2 წააგო, გუშინ კი... მე-14 წუთზე დენის დე ნოიერის ჩაწოდებული მაიკლ რენფურმა შეუგდო ბადეში და შესვენებამდე 6 წუთით ადრე მეორედაც დალაშქრა შარშანდელი ჩემპიონის კარი. მეორე ნახევარში თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ „სპარტას“ საუკეთესო გოლგამტანმა, ზემოხსენებულმა დე ნოიერმა მეგობრის ორ გოლს ერთიც თავისი დაამატა, რითაც „ეინდჰოვენის“ ბელგიელი ფორვარდის ლუკ ნილისის ერთ შედეგიან დარტყმას გულის მოფხანის მნიშვნელობაღა დაუტოვა.

ამრიგად, „აიაქსმა“ აპრილის შუაშივე გაინაღდა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება. ბუნებრივია ეს ქართველ გულშემატკივართათვის ერთობ საგულისხმოა, რადგან იმას ნიშნავს, რომ სექტემბრიდან ევროპული საკლუბო ფეხბურთის უპრესტიჟულეს შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ნაკრების ფორვარდი და... გამორიცხული არაა სეზონის ბოლოს „აიაქსში“ ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში“ დატანჯული გამთამაშებელი გიორგი ქინქლაძეც გადავიდეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 29 | 26 | 2 | 1 | 93:14 | 80 |
| ეინდჰოვენი | 29 | 18 | 8 | 3 | 74:35 | 62 |
| ვიტესი | 29 | 16 | 7 | 6 | 72:44 | 55 |
| ფეიენოორდი | 29 | 16 | 6 | 7 | 54:32 | 54 |
| ჰერენვენი | 28 | 14 | 6 | 8 | 46:43 | 48 |
| ტილბურგი | 29 | 14 | 4 | 11 | 51:45 | 46 |
| სიტარდი | 29 | 12 | 5 | 12 | 40:46 | 41 |
| ბრედა | 29 | 11 | 6 | 12 | 34:36 | 39 |
| სპარტა | 30 | 9 | 10 | 11 | 48:53 | 37 |
| ტვენტე | 30 | 9 | 9 | 12 | 33:38 | 36 |
| უტრეხტი | 29 | 11 | 3 | 15 | 52:60 | 36 |
| გრააფსხაპი | 30 | 9 | 8 | 13 | 40:39 | 35 |
| ნაიმეგენი | 30 | 11 | 2 | 17 | 35:56 | 35 |
| როდა | 30 | 8 | 8 | 14 | 37:40 | 32 |
| ვალვაიკი | 31 | 8 | 6 | 17 | 44:63 | 30 |
| გრონინგენი | 30 | 6 | 10 | 14 | 36:53 | 28 |
| მაასტრიხტი | 29 | 8 | 4 | 17 | 29:63 | 28 |
| ვოლენდამი | 30 | 4 | 6 | 20 | 27:85 | 18 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ნიკოს მახლასი (ვიტესი) | 31 |
| შოთა არველაძე (აიაქსი) | 19 |
| რონალდ ჰამინგი (სიტარდი) | 16 |
| მიშელ მოლსი (უტრეხტი) | 15 |

## ესპანეთი

XXXIII ტური

**ატლეტიკო 3:0 დეპორტივო**

1:0 ხოსე მარი (2), 2:0 პაკო (21ს.კ.), 3:0 სანტი (44პ)

**მერიდა 1:2 ბარსელონა**

0:1 ფიგუ (66), 0:2 ლუის ენრიკე (71), 1:2 ბიაჯინი (80)

**სელტა 2:1 რეალი**

1:0 მოსტოვოი (38), 1:1 იერო (45პ), 2:1 მოსტოვოი (55პ)

**ბილბაო 2:0 ვალიადოლიდი**

1:0 ეჩებერია (37), 2:0 გერერო (85)

**კომპოსტელა 1:3 სოსიედადი**

0:1 პიკაბეა (25), 0:2 ცვიტანოვიჩი (38), 1:2 შიბა (73), 1:3 ალდეონდო (89)

**ესპანიოლი 2:0 ტენერიფე**

1:0, 2:0 ესნაიდერი (8, 29)

**ოვიედო 0:1 რასინგი**

0:1 ა. ლოპესი (81)

**სალამანკა 6:0 ვალენსია**

1:0 ბრიტო (5), 2:0 ლანა (26), 3:0, 4:0 პაულეტა (42, 71), 5:0 სილვანი (78), 6:0 სიტო (89)

**სარაგოსა 2:3 მალიორკა**

0:1 ესკუერო (10), 1:1, 2:1 ჯამელი (49, 59), 2:2 ესკუერო (61), 2:3 მენა (79)

**ბეტისი — სპორტინგი**

დღეს გაიმართება

დიდი სირცხვილი იქნება, თუ „რეალი" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს, არადა, ამის შანსი ბოლო ტურის შემდეგ ძალიან გაიზარდა — სამეფო კლუბს ზურგს უკან მალიორკელი და სოსიედადელი მდევრების გახშირებული სუნთქვა ესმის.

რა ქნა „რეალმა" ვიგოში? წააგო 1:2, თან მასპინძლებს წინაალმდეგობაც ვერ გაუწია. არა, სტუმრები გოლის გატანას კი ცდილობდნენ, მაგრამ იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ცდილობ შეხვედრის გადარჩენას თუ არა. „რეალს" მაინცდამაინც არაფერი ეტყობოდა, შეშფოთებული რომ იყო. მადრიდელებმა წაგება საკმაოდ მშვიდად აღიქვეს, ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

ამასობაში „სოსიედადმა" და „მალიორკამ" სტუმრად მოიგეს, რამაც მათ „რეალთან" ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირების საშუალება მისცა. ჩემპიონატის დასრულამდე ცოტა დროა დარჩენილი, ყურადღებაგაფანტული „რეალისგან" კი ყველაფერია მოსალოდნელი. თანაც იუპ ჰაინკესის ბიჭები ამ ბოლო დროს მაინცდამაინც კარგად ვერ აგორებენ ბურთს.

საშინელი დებიუტი ჰქონდა „ვალენსიას" კარში ჩამდგარ გუსტავო კამპანუოლის — პრიმერა დივიზიონში ნათამაშევ პირველსავე მატჩში არც მეტი, არც ნაკლები, ექვსი (!) გოლი გაუშვა. მართლაც საშინელებაა. სად იყო ვალენსიელთა ძირითადი მეკარე, გამოცდილზე გამოცდილი ანდონი სუბისარეტა? — იგი დაშავებულა და ამიტომაც ვერ უთამაშია. სუბისარეტა რომ მდგარიყო კარში, შესაძლოა, ესპანეთის ერთ დროს უძლიერესი გუნდი ასე სამარცხვინოდ არ დამარცხებულიყო. ექვსი ბურთით რომ იგებ, ზრდილობის გულისთვის ერთი გოლი მაინც უნდა გაუშვა, მაგრამ „სალამანკას" რუმინელი მეკარე ბოგდან სტელია იმდენად „გათავხედდა", შესვენებამდე მუნდიეტას პენალტი მოიგერია.

ასეა, ზოგი გოლებით სეტყვავს მეტოქეს, ზოგს კი თერთმეტმეტრიანის გატანაც სანატრელი აქვს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 33 | 22 | 4 | 7 | 72:43 | 70 |
| რეალი | 33 | 15 | 11 | 7 | 55:39 | 56 |
| სოსიედადი | 33 | 14 | 13 | 6 | 53:32 | 55 |
| მალიორკა | 33 | 15 | 10 | 8 | 49:32 | 55 |
| სელტა | 33 | 16 | 6 | 11 | 47:40 | 54 |
| ბილბაო | 33 | 14 | 12 | 7 | 45:41 | 54 |
| ატლეტიკო | 33 | 13 | 11 | 9 | 67:48 | 50 |
| ბეტისი | 32 | 14 | 8 | 10 | 41:41 | 50 |
| ვალენსია | 33 | 14 | 6 | 13 | 48:41 | 48 |
| ესპანიოლი | 33 | 11 | 13 | 9 | 39:27 | 46 |
| ვალიადოლიდი | 33 | 12 | 7 | 14 | 35:47 | 43 |
| დეპორტივო | 33 | 10 | 12 | 11 | 36:37 | 42 |
| სარაგოსა | 33 | 10 | 11 | 12 | 41:51 | 41 |
| სალამანკა | 33 | 10 | 8 | 15 | 37:41 | 38 |
| რასინგი | 33 | 10 | 8 | 15 | 41:51 | 38 |
| ოვიედო | 33 | 8 | 13 | 12 | 32:40 | 37 |
| მერიდა | 33 | 9 | 9 | 15 | 31:47 | 36 |
| კომპოსტელა | 33 | 8 | 10 | 15 | 43:58 | 34 |
| ტენერიფე | 33 | 8 | 10 | 15 | 33:52 | 34 |
| სპორტინგი | 32 | 2 | 6 | 24 | 26:64 | 12 |

### მეორე დივიზიონი

37-ე ტური ნუმანსია — ორენსე 4:0; ლეიდა — ხაენი 1:1; ლას პალმასი — სერესი 2:0; ეიბარი — ელჩე 1:0; ალბასეტე — ესტრემადურა 0:2; ტოლედო — ბადახოსი 1:2; ვილიარეალი — ლოგრონიესი 2:1; რაიო ვალეკანო — სევილია 1:3; ერკულესი — ატლეტიკო B 2:1; ოსასუნა — ლეგანესი 2:1; ლევანტე — ალავესი 0:1

## გერმანია

XXX ტური

**ბაიერნი 3:1 მიუნხენი**

1:0 შოლი (39), 2:0 იანკერი (43), 3:0 მათეუსი (47), 3:1 ოაკილი (73)

**ჰამბურგი 2:0 არმინია**

1:0 სპიორლი (28), 2:0 დემბინსკი (90)

**ჰერტა 0:2 ვერდერი**

0:1 ლაბადია (18), 0:2 ბოდე (83)

**კიოლნი 0:1 კარლსრუე**

0:1 გუი მინი (33)

**შალკე 3:4 შტუტგარტი**

1:0 ვილმოტსი (5), 2:0 გუსენსი (10), 2:1 აკპობორი (15), 2:2 პოშნერი (45), 3:2 ვან ჰუგდალემი (46), 3:3 აკპობორი (69), 3:4 ვერლაატი (90)

**ვოლფსბურგი 1:0 ლევერკუზენი**

1:0 გრაინერი (6)

**გლადბახი 0:3 დუისბურგი**

0:1, 0:2 შპისი (27, 37), 0:3 სალუ (39)

„ბაიერნი" მიუნხენურ დერბიში გამარჯვებით ლიდერ „კაიზერსლაუტერნს" ერთი ქულითღა ჩამორჩება. ეს მას შემდეგ, რაც „კაიზერმა" პარასკევს „დორტმუნდს" მატჩის მიწურულსღა გაუყაიმა.

ფ.კ. „ჰოლივუდად" მონათლულმა კლუბმა თანაქალაქელი „მიუნხენ 1860" 3:1 იმ დღეს დაამარცხა, როცა მისმა იტალიელმა თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, სეზონის ბოლოს მშობლიურ იტალიას ვუბრუნდებიო.

ცოტა ხნის წინ ტრაპმა ძლიერ გააკიცხა ხელქვეითი მოთამაშენი თავისი დამტვრეული გერმანულით. სამხრეთული ჟესტიკულაციითა და საუბრის ტონით გაზავებული გამოსვლა ფიურერის სიტყვას უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე საფეხბურთო მწვრთნელისას.

— მომწყინდა მოთამაშეთა შეცდომების გამო წაგებული შეხვედრების შემდეგ თავის მართლება — თქვა მაშინ იტალიელმა. ბედის ირონიაა თუ რა, შაბათს „ბაიერნმა" დიდებულად ითამაშა.

და მაინც, „მიუნხენი" კარგა ხანს გაუძალიანდა თანაქალაქელს. „ბაიერნის" უპირატესობას „ოლიმპიაშტადიონზე" თავშეყრილი 69 ათასი მაყურებელი კი ხედავდა, მაგრამ სტუმრის რანგში მყოფთ დასანანი შეცდომა რომ არ დაეშვათ, არავინ იცის, ვინ იხეირებდა.

„ბაიერნის" კარისკენ შემტევ ჰორსტ ჰელდტს უცაბედად ფეხი დაუსხლტა და ახლა ჰამანმა შეუტია, მანვე საჯარიმოში ჩააწოდა და მეჰმეთ შოლმა, ბურთი მხრით რომ გაისწორა, ანგარიში გახსნა. „მიუნხენმა" პირველ ტაიმშივე გაუშვა მეორე გოლი, თანაც კიდევ უფრო კურიოზული. უშედეგოდ შემტევი კარსტენ იანკერი მინდვრის კიდეში პირით ხაზთან ჩარჩა და მეტოქის გოლკიპერ ბერნდ მაიერს ისე წამოეპარა, არც გაუგია. მეკარემ წინ დასარტყმელად დაგდებულ ბურთს ველარ მოუარა და იანკერიც მეცამეტეჯერ ემთხვია თავის ბეჭედს. არადა, მაიერმა კარგა ხანს ეძია ადრესატი და რაკი ვერ ჰპოვა, ბურთი ვითომდა დროებით, სინამდვილეში კი მეტად უხეიროდ შეიტანა თამაშში. ცხადია, მაიერის საქციელი ღიმილისმომგვრელი იყო და ჯოვანი ტრაპატონიმაც მორიდებულად ჩაიქირქილა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე წინგაჭრილ ლიბერო ლოთარ მათეუსს მეჰმეთ შოლმა უპასა. ერთ დროს დიდებულმა მოთამაშემ და არცთუ იშვიათმა მეგოლემაც შარშანდელი აპრილიდან მოყოლებული ბუნდესლიგაში პირველად გაიტანა.

„მიუნხენმა" ერთი ბურთის გაქვითვაღა მოახერხა, ოაკილიმ ლამაზი დარტყმით გაუტანა ოლივერ კანს.

ხიფათში მყოფ „მიუნხენს" წაგებამ საქმე უფრო გაურთულა. ვაგლახ, რომ იმ „ბაიერნს" გადაეყარა, რომელსაც საშემოდგომო ჩემპიონთა ლიგაში შესასვლელად მეორე ადგილი მაინც სჭირდება.

„ბაიერნი" თამაშნაკლულ „კაიზერს" ხომ მიუხალოვდა და მდევარ „ლევერკუზენსაც" დაშორდა. ბუნდესლიგაში 21 მატჩიანი წაუგებელი სერია „ბაიერს" „ვოლფსბურგმა" შეაწყვეტინა. ფრენკ გრაინერის ადრეულ გოლს სტუმრებმა შტურმით უპასუხეს, მაგრამ ემერსონი რამდენჯერმე მეკარემ გააწბილა.

— წაგება სასიამოვნო არასდროსაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბედი არ გწყალობს — თქვა კრისტოფ დაუმმა, ულფ კირსტენის მიერ აცილებული უამრავი მომენტი რომ იხილა. ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ ულის არ ვადანაშაულებ — დაამატა „ლევერკუზენის" თავკაცმა. ამ შეცდომათაგან ერთ-ერთს მეორე გოლიც უნდა მოჰყოლოდა,



სარბიელის არქივიდან

ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილ იანკერს სამომავლოდ გოლი გოლზე გააქვს

როი პრეგერი ცენტრალური რკალიდან მარტო დარჩა ჰაინენთან პირისპირ, მაგრამ დარტყმა დააგვიანა, ნოვოტნი წამოეწია და მეკარეს ხიფათის აცილებაში შეეშველა.

უხვგოლიანი, თუმცა დიდებული გამოდგა გელზენკირხენში „შალკე" — „შტუტგარტის" შეხვედრა. უეფას თასის მფლობელს აქამდე ათ საშინაო მატჩში ბურთი არ გაეშვა, შაბათს კი ოთხჯერ მოუხდა თამაშის ცენტრიდან დაწყება და რაკი თავად მხოლოდ სამჯერ გაიტანა, ცხადია, წააგო კიდეც.

მატჩის დასაწყისი რურგებითელთათვის კარგის მეტს არას მოასწავებდა. მეხუთე წუთზე ვილმოტსმა ვოლფგარტის ხელიდან გაიტანა, ხუთ წუთშიც გუსენსმა აიგენრაუხის ჩაწოდებით შეაგდო, მაგრამ ამდენივე ხანი რომ გამოხდა, გუსენსმა ბურთი დაკარგა და ჯონათან აკპობორიმ ანგარიში გაქვითა. გელზენკირხენის თავზე შავი ღრუბლები შესვენებამდე წუთით ადრე შექუჩდა. შავკაც აკპობორის თავური პასით პოშნერმა შორეულ კუთხეში დარტყმულით გაათანაბრა. „შალკე" თამაშის განახლებისთანავე ვან ჰუგდალემმა დააწინაურა, მაგრამ მასპინძელთა სიხარული ხანმოკლე გამოდგა, ბალაკოვის პასით აკპობორიმ ისევ გაათანაბრა და შეგულიანებულმა ვოლფგარტმაც ოლაფ ტონს ორჯერ მოუსპო დაწინაურების შანსი. შეხვედრას წერტილი „შტუტგარტის" ჰოლანდიელმა ლიბერო ვერლაატმა დაუსვა, დასწრებაზე ყველას აჯობა და სტუმრებს მოაგებინა, მოსკოვში „ლოკომოტივთან" სახუთშაბათო მატჩზე „შტუტგარტი" კარგ ხასიათზე ჩავა. ხუმრობა როდია გელზენკირხენში მოგება და მით უმეტეს, ოთხჯერ გატანა.

შაბათს სტუმრად „ვერდერმაც" მოიგო — სტუმრები მეთვრამეტე წუთზე ბრუნო ლაბადიამ დააწინაურა. ბუნდესლიგის შარშანწინდელი ბომბარდირის დარტყმა ბერლინელთა მეკარე კირალიმ მხოლოდ ხაზს შიგნით აიღო. ლაბადიას კვლავაც შეეძლო გატანა, მარკო ბოდეს კარგი კომბინაცია კი გაუთამაშა, მაგრამ წინ გამოსულ მეკარეს თავით ძლიერ გადაუგდო ბურთი. „ვერდერმა" მაინც გაიტანა მეორედ. ამჯერად ბოდემ იხეირა, მეკარეს გვერდი ოსტატურად აუარა და ბრემენელებს სიხარული მოჰგვარა.

იხარა გავარდნას გადარჩენილმა „ჰამბურგმაც", რომელმაც სპიორლის და დემბინსკის გოლებით უშუალო კონკურენტ „არმინიას" მოუგო. ბილეფელდელებს დარჩენის თეორიული შანსი კიდევ აქვთ, მაგრამ „ჰამბურგთან" თუ აღარ იხეირეს, ვილასთან? მეტად ემოციურმა მეკარე გეორგ კოხმა წაგება დიდად განიცადა და შტეფან კუნცმა რის ვაი-ვაგლახით ანუგეშა. ვერ გეტყვით, ბუნდესნკრების თავდამსხმელმა კოხი რით დააწყნარა, ყოველ შემთხვევაში, მისი „ტიროლისგან" ჩვენი „დინამოს" ძლევას, ალბათ, ნამდვილად ვერ გაახსენებდა.

„არმინიას" გულს ის თუ დაუამებდა, შინ „ჰანზასთან" „ბოხუმმაც" რომ წააგო და გუშინ „დუისბურგთან" „გლადბახმაც". აი, კიოლნში „კარლსრუეს" მოგება კი სხვა ქვემოურებს ვერაფრით გაახარებდა. არადა, ახალი მწვრთნელის — იორგ ბერგერის ხელში „კარლსრუემ" პირველად მოიგო, თანაც გასვლაზე სტუმრებს, როლფ კრისტელ გუი-მინმა რომ დააწინაურათ, უპირატესობა არც ბოლო სამ წუთში გაუშვიათ ხელიდან. ამდენ ხანს არბიტრმა „კარლსრუე" კაცნაკლულად დატოვა, გვიდო ბუხვალდი ტყუილად რომ გააგდო.

მოკლედ, გაზაფხულდა და ბუნდესლიგის ფსკერზეც დაცხა და კენწეროშიც. ბრძოლას ჯერ არც ევროსაგზურთა მაძიებლები ანებებენ თავს.

ვახტანგ ბზიძაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 29 | 17 | 8 | 4 | 51:32 | 59 |
| ბაიერნი | 30 | 17 | 7 | 6 | 59:31 | 58 |
| ლევერკუზენი | 29 | 13 | 11 | 5 | 56:32 | 50 |
| ჰანზა | 30 | 13 | 7 | 10 | 45:36 | 46 |
| შალკე | 29 | 11 | 12 | 6 | 35:29 | 45 |
| შტუტგარტი | 30 | 12 | 9 | 9 | 49:44 | 45 |
| ვერდერი | 30 | 11 | 8 | 11 | 38:46 | 41 |
| დორტმუნდი | 29 | 10 | 9 | 10 | 50:45 | 39 |
| დუისბურგი | 30 | 10 | 9 | 11 | 38:40 | 39 |
| ჰერტა | 29 | 11 | 6 | 12 | 36:44 | 39 |
| ვოლფსბურგი | 30 | 11 | 5 | 14 | 35:42 | 38 |
| ჰამბურგი | 30 | 9 | 10 | 11 | 35:40 | 37 |
| კიოლნი | 29 | 10 | 5 | 14 | 44:53 | 35 |
| ბოხუმი | 29 | 9 | 7 | 13 | 35:42 | 34 |
| კარლსრუე | 30 | 8 | 9 | 13 | 39:51 | 33 |
| მიუნხენი | 30 | 8 | 8 | 14 | 35:50 | 32 |
| გლადბახი | 30 | 6 | 11 | 13 | 43:53 | 29 |
| არმინია | 29 | 7 | 5 | 17 | 33:46 | 26 |

### მეორე ბუნდესლიგა

26-ე ტური. ვატენშაიდი — ცვიკაუ 2:1; დიუსელდორფი — ფორტუნა 2:3; ფრაიბურგი — უნტერჰახინგი 1:1; კარლ ცაისი — ურდინგენი 0:3; კიკერსი — მაინცი 1:2; კოტბუსი — ზანქტ პაული დღეს გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | 26 | 13 | 10 | 3 | 38:23 | 49 |
| ნიურნბერგი | 25 | 15 | 2 | 8 | 38:22 | 47 |
| ფრაიბურგი | 26 | 13 | 5 | 8 | 44:30 | 44 |
| გიუტერსლო | 25 | 9 | 11 | 5 | 27:21 | 38 |
| ურდინგენი | 26 | 10 | 8 | 8 | 27:23 | 38 |
| დიუსელდორფი | 26 | 10 | 7 | 9 | 42:39 | 37 |
| ზანქტ პაული | 25 | 9 | 10 | 6 | 30:28 | 37 |
| ფორტუნა | 26 | 8 | 11 | 7 | 40:39 | 35 |
| ფიურტი | 26 | 9 | 8 | 9 | 22:24 | 35 |
| ვატენშაიდი | 26 | 9 | 7 | 10 | 32:28 | 34 |
| უნტერჰახინგი | 25 | 8 | 9 | 8 | 30:22 | 33 |
| ლაიფციგი | 25 | 9 | 6 | 10 | 26:38 | 33 |
| კოტბუსი | 25 | 7 | 11 | 7 | 26:25 | 32 |
| მაინცი | 26 | 6 | 12 | 8 | 40:42 | 30 |
| კიკერსი | 25 | 7 | 5 | 13 | 32:40 | 26 |
| კარლ ცაისი | 25 | 6 | 7 | 12 | 26:42 | 25 |
| მეპენი | 25 | 5 | 9 | 11 | 29:43 | 24 |
| ცვიკაუ | 25 | 3 | 8 | 14 | 18:38 | 17 |

## პორტუგალია

29-ე ტური. ბელენენსეში — აკადემიკა 2:0; სეტუბალი — რიუ ავე 1:0; კამპომაიორენსე — სპორტინგი 3:5; ლეცა — ბრაგა 0:0; ამადორა — ფარენსე 2:1; პორტუ — შავეში 3:1; ვარზიმი — გიმარაეში 1:2; მარიტიმუ — ბოავიშტა 1:0; სალგეირუში — ბენფიკა 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 29 | 21 | 5 | 3 | 62:28 | 68 |
| ბენფიკა | 29 | 17 | 7 | 5 | 49:25 | 58 |
| გიმარაეში | 29 | 14 | 7 | 8 | 36:21 | 49 |
| სპორტინგი | 29 | 13 | 9 | 7 | 39:27 | 48 |
| ამადორა | 29 | 13 | 8 | 8 | 39:32 | 47 |
| მარიტიმუ | 29 | 13 | 8 | 8 | 33:26 | 47 |
| ბოავიშტა | 29 | 12 | 10 | 7 | 42:26 | 46 |
| სალგეირუში | 29 | 10 | 9 | 10 | 36:33 | 39 |
| რიუ ავე | 29 | 10 | 9 | 10 | 34:34 | 39 |
| ლეცა | 29 | 10 | 6 | 13 | 27:40 | 36 |
| სეტუბალი | 29 | 9 | 7 | 13 | 30:34 | 34 |
| კამპომაიორენსე | 29 | 9 | 7 | 13 | 43:49 | 34 |
| ბრაგა | 29 | 7 | 12 | 10 | 36:41 | 33 |
| აკადემიკა | 29 | 7 | 10 | 12 | 23:34 | 31 |
| ფარენსე | 29 | 6 | 12 | 11 | 35:43 | 30 |
| ვარზიმი | 29 | 6 | 10 | 13 | 25:41 | 28 |
| შავეში | 29 | 6 | 4 | 19 | 25:54 | 22 |
| ბელენენსეში | 29 | 4 | 8 | 17 | 18:44 | 20 |

## ბელგია

29-ე ტური. სტანდარდი — ბევერენი 1:2; ლიერსი — მოლენბეკი 1:1; გენკი — ანტვერპენი 1:1; გენტი — აალსტი 0:0; ეკერენი — სენტ ტრუიდენი 1:0; მუსკრონი — ჰარელბეკი 1:0; ლოკერენი — ბრიუგე 1:1; ანდერლეხტი — ლომელი 2:0; შარლერუა — ვესტერლო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 29 | 23 | 5 | 1 | 65:24 | 74 |
| გენკი | 29 | 19 | 5 | 5 | 61:30 | 62 |
| ეკერენი | 29 | 15 | 6 | 8 | 52:40 | 51 |
| ანდერლეხტი | 29 | 14 | 7 | 8 | 48:33 | 49 |
| ჰარელბეკი | 29 | 13 | 9 | 7 | 45:28 | 48 |
| ლოკერენი | 29 | 14 | 3 | 12 | 58:57 | 45 |
| ლიერსი | 29 | 12 | 7 | 10 | 46:38 | 43 |
| გენტი | 29 | 8 | 13 | 8 | 39:37 | 37 |
| ლომელი | 29 | 10 | 7 | 12 | 42:44 | 37 |
| ვესტერლო | 29 | 8 | 11 | 10 | 42:47 | 35 |
| სტანდარდი | 29 | 8 | 10 | 11 | 39:40 | 34 |
| სტ. ტრუიდენი | 29 | 8 | 10 | 11 | 26:32 | 34 |
| აალსტი | 29 | 8 | 8 | 13 | 42:53 | 32 |
| შარლერუა | 29 | 8 | 8 | 13 | 40:53 | 32 |
| მუსკრონი | 29 | 8 | 7 | 14 | 31:41 | 31 |
| ბევერენი | 29 | 6 | 8 | 15 | 25:45 | 26 |
| მოლენბეკი | 29 | 6 | 5 | 18 | 30:66 | 23 |
| ანტვერპენი | 29 | 5 | 7 | 17 | 30:53 | 22 |

## რუსეთი

მე-3 ტური. შინიკი — როსტსელმაში 0:0; ჩერნომორეცი — როტორი 1:1; ზენიტი — ტორპედო 1:1; ჟემჩუჟინა — ტიუმენი 0:0; ალანია — ბალტიკა 2:0; ურალანი — კრილია სოვეტოვი 1:0; ლოკომოტივი — ცსკა და დინამო — სპარტაკი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ზენიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| როტორი | 3 | 1 | 2 | 0 | 9:5 | 5 |
| როსტსელმაში | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ჩერნომორეცი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| კრილია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ბალტიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ტიუმენი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| შინიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ურალანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ტორპედო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ჟემჩუჟინა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

## შვეიცარია

მე-7 ტური. ლუცერნი — გრასჰოპერი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 7 | 4 | 1 | 2 | 19:11 | 36 |
| სერვეტი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 35 |
| ციურიხი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:8 | 29 |
| ლოზანა | 7 | 1 | 3 | 3 | 4:7 | 27 |
| სენტ გალენი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:10 | 24 |
| არაუ | 7 | 1 | 2 | 4 | 9:14 | 23 |
| სიონი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:13 | 21 |
| ლუცერნი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:13 | 21 |

## სლოვენია

25-ე ტური. რუდარი — გორიცა 0:2, კოროტანი — პუბლიკუმი 1:0, ბელტინჩი — ოლიმპია 1:5, ვევჩე — მურა 2:4, პრიმორიე — მარიბორი 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურა | 25 | 15 | 5 | 5 | 48:29 | 50 |
| მარიბორი | 25 | 15 | 2 | 8 | 38:22 | 47 |
| პრიმორიე | 25 | 13 | 3 | 9 | 46:35 | 42 |
| ოლიმპია | 25 | 11 | 9 | 5 | 42:33 | 42 |
| გორიცა | 25 | 12 | 4 | 9 | 44:26 | 40 |
| პუბლიკუმი | 25 | 10 | 6 | 9 | 43:39 | 36 |
| რუდარი | 25 | 7 | 8 | 10 | 27:26 | 29 |
| კოროტანი | 25 | 7 | 7 | 11 | 21:37 | 28 |
| ბელტინჩი | 25 | 6 | 4 | 15 | 28:55 | 22 |
| ვევჩე | 25 | 3 | 4 | 18 | 22:58 | 13 |

# აპრილის თეზისები

## საფრანგეთი

### თასის ნახევარფინალი
### ლანსი 2:0 ლიონი

1:0, 2:0 ზიანი (24, 90)

— ალბათ, „ლანსს" არასოდეს ჰქონია ასეთი წარმატებული სეზონი. 1998 წელი უთუოდ გაამდიდრებს კლუბის ისტორიას. წლეულს „ლანსის" ალმაფრენამ საოცარი შედეგი გამოიღო — თქვა გუნდის ჩეხმა თავდამსხმელმა ვლადიმირ შმიცერმა, რომელიც თასის ნახევარფინალში გამარჯვებამ ძალიან გაახარა.

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის ვიცე ჩემპიონი შმიცერი ერთ რამეში სავსებით მართალია — ეს სეზონი „ლანსისთვის" უდავოდ ძალიან წარმატებულია. გუნდის შესანიშნავ თამაშზე კი ჩემპიონატის ლიდერობა და აგერ გუშინწინ თასის ფინალში გასვლაც მოწმობს. 1975 წლის შემდეგ „ლანსს" ქვეყნის თასის გადამწყვეტ შეხვედრაში აღარ უთამაშია, მაგრამ გავიდა დრო და...

— დარწმუნებული ვიყავით, მეტოქის ძლევას რომ შევძლებდით, მაგრამ ისიც კარგად გვქონდა გათვითცნობიერებული, საკუთარი ძალების არაობიექტურად შეფასებას ზიანის მოტანა რომ შეეძლო. ვგონებ, ისე ვითამაშეთ, როგორც მოგვეთხოვებოდა — ორი გოლის ავტორი, „ლანსის" გამთამაშებელი სტეფან ზიანი ჟურნალისტებს თამაშისწინა და თამაშისშემდგომ ნაფიქრალს უზიარებდა.

ის, რომ „ლანსი" „ლიონს" მოუგებდა, ძნელი მისახვედრი არ იყო, თუმცა ფავორიტთა დამარცხებაც არ იყო გამორიცხული. ბურთი მრგვალია, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ შაბათს არ გავხდით იმ უიშვიათესი შემთხვევის მოწმენი, აუტსაიდერი ლიდერს რომ ამარცხებს. შაბათს „ლანსი" უძლეველი იყო.

24-ე წუთზე საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერის, „ლანსის" ნახევარმცველი სტეფან ზიანი ლიონელთა კარის დარაჯს, გრეგორ კუპეს გაბითურების შემდეგ მასპინძლებს აწინაურებს, თუმცა თანაგუნდელ ვლადიმირ შმიცერს დროულად რომ არ მიეწოდებინა ბურთი, ორი ნული ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩებოდა ტაბლოზე. ანგარიში მსაჯის მიერ წამატებულ დროში გაორდა ზიანის წყალობით.

სავსებით შესაძლებელი გახლდათ, „ლანსს" მეტოქე გაენადგურებინა, თუმცა იმავე ზიანიმ, შმიცერმა და ანტონ დრობნიაკმა ბურთის კარში შეგდების მაგიერ ძელებს ურტყეს.

### პსჟ 1:0 გინგამი

1:0 მორისი (4)

ლიგის თასის მფლობელი „პარი სენ ჟერმენი" მეორე „ჩვეულებრივი" თასისთვისაც განაგრძობს ბრძოლას. მან გუშინ „გინგამს" 1:0 მოუგო და ახლა, 2 მაისს, ფინალში ჩემპიონატის ლიდერს, „ლანსს" შეებმება.

„პარი სენ ჟერმენი" ამ სეზონში გულშემატკივრებს ვერ ახარებს, მაგრამ ეს ჩემპიონატში. აი, თასზე კი სხვა ამბავია. მეოთხე წუთი იყო ფლორიან მორისმა გოლი რომ გაიტანა.

გოლი კუთხურს მოჰყვა შედეგად. ნახევარმცველის, ფრანკ გავას ჩაწოდებულ ბურთს მორისმა ჩინებული დარტყმა მიაყოლა და მიზანს მიაღწია.

მაგრამ „გინგამი" ის გუნდი არ გახლავთ, იოლად რომ ნებდება. გასული წლის ფინალისტმა კლანჭები 22-ე წუთზე გამოაჩინა, როდესაც აბდელ ტასფუტმა ძელს გაარტყა ბურთი.

ძელს „პარი სენ ჟერმენმაც" გაარტყა. ეს ათ წუთში მოხდა, იტალიელი მარკო სიმონეს დარტყმის შემდეგ. პარიზელებს სხვა, უფრო ნაღდი მომენტიც ჰქონდათ — ბრაზილიელმა რაიმ შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე პენალტი ააცილა.

მაშ ასე, თუ 2 მაისს „პარი სენ ჟერმენი" „ლანსს" დასჯაბნის, ისტორიაში მეორედ, 1995 წლის შემდეგ, მოიპოვებს ორივე თასს ერთად.

— მას მერე რაც კლუბის პრეზიდენტი გავხდი, ჩვენ შვიდი ფინალი ჩავატარეთ და აქედან მხოლოდ ერთი წავაგეთ — განაცხადა პარიზელთა გამგებელმა მიშელ დენიზომ, რომელიც სეზონის ბოლოს თანამდებობიდან გადადგება — წინა კვირაში ლიგის თასის მოპოვებამ უეფას თასზე დაგვიმძიმდა ადგილი, ახლა თასების თასის ადგილიც გაგვინთავისუფლა, რამეთუ „ლანსი" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს. სეზონის მიწურულს ორ ყველაზე ძლიერ ... თასის მოპოვება კი იმას მიგვანიშნებს, რომ ჩვენი ჩვენი გუნდი არც ისე საგანგებოა.

### იუჰანსონი ასე ფიქრობს

ამბობენ, ფიფაზე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია მხოლოდ გაერო არისო. ეს ნათქვამი ოდნავ გადაჭარბებულიც რომ იყოს, მაინც გვიქმნის წარმოდგენას იმ სტურქტურაზე რომლის სათავეში მოქცევაც შვედ ლენარტ იუჰანსონს განუზრახავს. მას მეტოქედ ერთადერთი კაცი, შვეიცარიელი ზეპ ბლატერი ჰყავს, მაგრამ კონკურენტებთან გამკლავება იუჰანსონისთვის ახალი საქმე არაა. მან უეფას პრეზიდენტის თანამდებობა 1990 წელს ბლატერის თანამემამულეს ფრედი რუმოს არჩევნებით მოუგო. არჩევნებში აპირებს გამარჯვებას ახლაც, 8 ივნისს.

რუმოსთან რვა წლის წინანდელი ჭიდილი მალტაში, უეფას კონგრესზე გაიმართა. ოთხი წლის წინ კი ვენაში, ევროპის საფეხბურთო პარლამენტმა იუჰანსონი ხელახლა აირჩია თანამდებობაზე.

### ფეხბურთის მომავალი

იუჰანსონი კმაყოფილია, რომ თანამედროვე ფეხბურთში გამეფებული, სპონსორთა და ახალ-ახალ ქვეყანათა თუ ორგანიზაციათა მიზიდვის ტენდენცია სულ უფრო დიდ მასშტაბებს იღებს. „ესე იგი ინდუსტრიულ ლიდერებს ჩვენი სპორტისა სწამთ, რაც ძალიან კარგია, დიდი პარტნიორობის ნიშანია და ეს სფეროს კონტროლს გვიადვილებს" — ამბობს შვედი პრეზიდენტი.

მისი აზრით, სპორტის ესა თუ ის სახეობა დაცული უნდა იყოს თავისივე წეს-კანონებითა და იმიჯით. გარდა ამისა, ფეხბურთის, როგორც საოჯახო თამაშის საგანგებოდ განვითარებაც აუცილებელია. საოჯახო თამაშს რომ ამბობს, იუჰანსონი იმას გულისხმობს, რომ თანდათან სტადიონებზე მშობლებთან ერთად მოარულ შვილთა რაოდენობა საგრძნობლად უნდა გაიზარდოს. ამას პირდაპირ მივყავართ სტადიონების საკითხთან. სტადიონები მთელს მსოფლიოში უნდა მოეწყოს ისე, რომ იქ მხოლოდ ფანთა ადგილი არ იყოს, იქ ოჯახები და მეგობრები უნდა იკრიბებოდნენ.

### ფეხბურთი და პოლიტიკა

იუჰანსონი არ უარჰყოფს, რომ ფეხბურთის დიდი პოპულარობა ძალაუნებურად პოლიტიკოსთა ინტერესს იწვევს და შესაბამისად არსებობს ჩარევაც, მაგრამ საფეხბურთო სამყარომ ერთიანობის გზით დამოუკიდებლობას უნდა მიაღწიოს.

იუჰანსონს პოლიტიკოსებთან თანამშრომლობაც სწყურია. სტადიონების აშენება იქნება თუ იქ უსაფრთხოების გარანტია, პოლიტიკოსთა როლი დიდია, მსოფლიოს უპოპულარულესი თამაშის წარმატებული არსებობისათვის ფეხბურთის ლიდერთა დიპლომატიური ნიჭი და სწორი მუშაობაა აუცილებელი.

### კომერციალიზაცია

კომერციალიზაციის გარეშე ფეხბურთი არსებობას შეწყვეტდა. ველარ აშენდებოდა ახალი სტადიონები, ველარ მოეწყობოდა ის უდიდესი სპექტაკლი, რომელიც პლანეტაზე მსოფლიოს ჩემპიონატადაა ცნობილი, ვერ დაფუძნდებოდა ევროპის ჩემპიონთა ლიგა, ვერ ჩაიდებოდა დიდძალი თანხა ბავშვთა ფეხბურთში, სადაც დღეს პროფესიონალი მწვრთნელები მოღვაწეობდნენ და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილზე მოწყობილი უმნიშვნელოვანესი მატჩები უამრავ ქვეყანაში ტელევიზიით არ გადაიცემოდა. დღეს ფეხბურთი ხელშეუხებელია. მიუხედავად იმისა, რომ მოედნები სარეკლამო დაფებითაა შემოლობილი, უშუალოდ თამაშის დროს, ბურთი რომ გაგორდება, კომერციული გავლენა აღარ არსებობს. ფეხბურთმა 100 წლის წინანდელი სახე შეინარჩუნა — ამბობს იუჰანსონი.

### საერთაშორისო ლიგები

რამდენიმე ათწლეულია მიმდინარეობს მსჯელობა საერთაშორისო (უფრო ევროპული) ლიგების შექმნაზე. აქ ბევრი რამ ერთი შეხედვით მიმზიდველია, მაგრამ გადაჭარბებაც არვარგა. იუჰანსონი თვლის, რომ ეროვნული ჩემპიონატები ზედადან ქვედა ლიგებში გუნდების გავარდნისა და ქვედადან ზედაში აღზევების პრინციპით, ფეხბურთის საფუძველია. ქომაგობა ხომ უბნების, ქალაქებისა და რეგიონების მიხედვითაა. მაშ, რაგინდ ძლიერი იყოს ინტერლიგების იდეა, მთავარი ეროვნული ჩემპიონატებია.

ხოლო ის, რომ პან-ევროპულ ლიგასა და ეროვნულ პირველობებს თანაარსებობა შეუძლიათ, ჩემპიონთა ლიგის მაგალითით ჩინებულად მტკიცდება.

### კონფედერაციები

სახეობის კონტროლისთვის კონფედერაციები აუცილებელია. მათ ღირსეული ადგილი უნდა ეკავოთ. ფიფას მთელს მსოფლიოში ასისტენტები სჭირდება და შესაბამისი ამოცანის გადასაჭრელად სწორედ კონფედერაციათა (უეფა, კონკაკაფი, კონმებოლი და სხვა) არსებობაა საჭირო.

### ფეარ პლეი

იმისათვის, რომ ფეხბურთი კარგი თამაში იყოს, იუჰანსონის აზრით აუცილებელია „ფეარ პლეი" — რაინდობა მოედანზე — ესაა სპორტული შეჯიბრების არსი. „ფეარ პლეის" იდეას ფიფა, კონფედერაციები და ბევრი ეროვნული ფედერაცია ფინანსურად უჭერს მხარს. უეფა შორსაც წავიდა, ეთიკის კოდექსზე საუბრობს.

ეთიკა მხოლოდ ფურცელზე დაწერილ ნორმებს როდი გულისხმობს. ესაა მოთამაშეთა, მწვრთნელთა, მსაჯთა, დელეგატთა სულისკვეთება. „ფეარ პლეის" იდეით ცხოვრება ფეხბურთის საკვანძო მომენტია და ასეთი იდეები მხოლოდ სპორტის სფეროთი არ უნდა იფარგლებოდეს.



ლენარტ იუჰანსონი

მოამზადა პაპუნა ძედიამ

## ფუტიქსის დროშით

### კონტრაბაჩა

დარჩა FRANCE 98 57 დღე

ბრიტანეთის მთავრობის გუშინდელ განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ საფრანგეთი ყურად იღებს ევროგაერთიანების სანქციას ნიგერიის წინააღმდეგ და ამ აფრიკული ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს, სანდი აბაჩას, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრებად ქვეყანაში არ შეუშვებს.

სანქცია ევროკავშირმა 1995 წელს შემოიღო. სანქცია მრავალპლანიანია და სპორტსაც ეხება. მისი შემოღების მიზეზი ნიგერიაში ადამიანთა უფლებების შელახვა გახლდათ.

მოგვიანებით, როდესაც ნიგერიამ მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ტურნირში გაიმარჯვა და ფინალურ ეტაპზე ანუ საფრანგეთში დანიშნულ შეჯიბრებაში თამაშის უფლება მოიპოვა, ევროკავშირის მინისტრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს ოლიმპიური ჩემპიონისთვის თავიანთ კონტინენტზე ჩასვლის უფლება მიეცათ.

მაგრამ ერთია გუნდის ჩემპიონატში მონაწილეობა, ქვეყნის მმართველის ქვეყანაში ვოიაჟი კი მეორე. ბრიტანეთმა მეორის წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრა და მოითხოვა გენერალ აბაჩას ვიზა არ მისცენ.

„ჩვენ დათმობის ისეთ ვარიანტს ვამჯობინებთ, რომლის თანახმადაც აბაჩას საფრანგეთში ჩასვლის უფლება არ ექნება" — განაცხადა სააგენტო „როიტერთან" სატელეფონო საუბარში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-ატაშემ — „ვიზის აკრძალვა მას თამაშებზე დასწრების საშუალებას არ მისცემს, თუმცა გვესმის, რომ ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირის წევრი ქვეყნების საქმეა".

გუშინდელი „ობზერვერი" წერდა, რომ აბაჩას კანონიერ პრეზიდენტად გახდომის სურვილი აქვს და საამისოდ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ერთ თვეში არჩევნები დაუნიშნავს. არჩევნების მოგებისთვის მას ერთ-ერთ გზად ხალხში სახელის მოხვეჭა განუზრახავს, საამისოდ კი ეროვნული გუნდის თამაშებზე დასწრება ჩინებული საშუალებაა. შეგახსენებთ, რომ ერთი ხნის წინ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მიმართა, რომ ნიგერიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი გამართვა ევროკავშირის ნეიტრალურ ... მიმდევდა, თუმცა მთავრობამ თამაშის გაუქმება ვერ ... .

თებერვალში ევროპარლამენტმა, წევრ ქვეყნებს მოუწოდა ნიგერიის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრება სთხოვა, ვინაიდან წინა სანქციები დიდად ეფექტური არ გამოდგა.

## საბერძნეთი

30-ე ტური. ათინაიკოსი — კალამატა 0:0; ირაკლისი — იონიკოსი 1:1; ვერია — ოფი 3:0; ოლიმპიაკოსი — პანილიაკოსი 4:2; პანახაიკი — ქსანტი 2:1; პრუდეფტიკი — პანიონისი 1:1; აპოლონი — პაოკი 4:4; ეთნიკოსი — აეკი 1:3; კავალა — პანათინაიკოსი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 30 | 26 | 1 | 3 | 78:20 | 79 |
| პანათინაიკოსი | 30 | 24 | 1 | 5 | 78:24 | 73 |
| აეკი | 30 | 20 | 6 | 4 | 53:26 | 66 |
| პაოკი | 30 | 18 | 7 | 5 | 62:38 | 61 |
| იონიკოსი | 30 | 17 | 7 | 6 | 43:26 | 58 |
| ირაკლისი | 30 | 13 | 8 | 9 | 44:39 | 47 |
| ვერია | 30 | 11 | 6 | 13 | 35:38 | 39 |
| ქსანტი | 30 | 11 | 6 | 13 | 45:49 | 39 |
| ოფი | 30 | 12 | 3 | 15 | 38:52 | 39 |
| აპოლონი | 30 | 10 | 6 | 14 | 31:39 | 36 |
| პანილიაკოსი | 30 | 9 | 8 | 13 | 41:44 | 35 |
| პანიონისი | 30 | 9 | 5 | 16 | 35:48 | 32 |
| პანახაიკი | 30 | 9 | 4 | 17 | 26:50 | 31 |
| პრუდეფტიკი | 30 | 7 | 6 | 17 | 30:55 | 27 |
| კალამატა | 30 | 6 | 8 | 16 | 23:43 | 26 |
| ათინაიკოსი | 30 | 6 | 8 | 16 | 22:44 | 26 |
| ეთნიკოსი | 30 | 7 | 3 | 20 | 24:48 | 24 |
| კავალა | 30 | 6 | 5 | 19 | 31:57 | 23 |

## ავსტრია

29-ე ტური. ტიროლი — ადმირა ვაკერი 2:2; ლუსტენაუ — ზალცბურგი 1:0; რაპიდი — რიდი 1:0; ლინცი — გრაცი 1:0; შტურმი — აუსტრია დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 28 | 20 | 7 | 1 | 64:20 | 67 |
| გრაცი | 29 | 14 | 6 | 9 | 42:27 | 48 |
| რაპიდი | 29 | 13 | 7 | 9 | 32:34 | 46 |
| ლინცი | 29 | 13 | 4 | 12 | 51:44 | 43 |
| ტიროლი | 29 | 10 | 9 | 10 | 39:41 | 39 |
| ზალცბურგი | 29 | 10 | 7 | 12 | 35:31 | 37 |
| აუსტრია | 28 | 10 | 7 | 11 | 35:38 | 37 |
| რიდი | 29 | 9 | 7 | 13 | 32:41 | 34 |
| ლუსტენაუ | 29 | 5 | 11 | 13 | 28:45 | 26 |
| ადმირა ვაკერი | 29 | 5 | 5 | 19 | 31:68 | 20 |

## ფეხბურთის რუკასთან

**ბულგარეთის** ჩემპიონატის 25-ე ტური. ბოტევი — სპარტაკი (პლევენი) 4:0, დობრუჯა — მინორი 1:0, ოლიმპიკი — ეტარი 2:0, ლევსკი (კიუსტენდილი) — ლიტექსი 0:0, ნეფტოხიმიკი — სპარტაკი (ვარნა) 0:0, მეტალურგი — ლოკომოტივი (პლოვდივი) 2:0, ლოკომოტივი (სოფია) — სლავია 1:2, ლევსკი (სოფია) — ცსკა 3:3. 60 ქულით ლიდერობს „ლიტექსი", 54 ქულით მეორეა სოფიის „ლევსკი", 53 ქულით მესამეა სოფიის ცსკა.

**რუმინეთის ჩემპიონატის 29-ე ტური. არჯეში — სტიაუა 3:2, რაპიდი — ოცელული 1:0, უნივერსიტატია (კრაიოვა) — ნაციონალი 5:1, დინამო — ჟიული 7:1, ფორესტა — რესიტა 2:1, ბაკაუ — ჩაჰლაული 2:0, ხინდია — უნივერსიტატია (კლუჟი) 2:0, ფარული — სპორტული 3:1, პეტროლული — გლორია 4:1. 68 ქულით პირველ ადგილზეა ბუქარესტის „რაპიდი", 67 ქულით მეორეა „სტიაუა", 57 ქულით მესამე ადგილზეა პიტეშტის „არჯეში".**

**პოლონეთის** ჩემპიონატის 24-ე ტური. ვიძევი — პეტროხიმია 3:0, სტომილი — ამიცა 0:1, პოგონი — გკს 2:3, გროცლინი — ლეგია 2:1, პოლონია — ლკს 0:3, რუხი — ოსტროვიეცი 1:0, რაკოვი — ლეხი 0:2, ოდრა — ზაგლებიე 0:1, ვისლა — გურნიკი 2:1. 47 ქულით პირველ ადგილზეა ლკს, 42 ქულით მეორეა „ლეგია", 41 ქულით მესამეა „პოლონია".

**ხორვატიის ჩემპიონატის პლეი-ოფის ეტაპის მე-5 ტური. ზაგრები — ზადარკომერცი 4:0, დრაგოვოლიაცი — ჰაიდუკი 1:0, ოსიეკი — კროაცია 1:1. 38 ქულით ლიდერობს „კროაცია", 31 ქულით მეორე ადგილზეა „ჰაიდუკი", მესამე ადგილზე 25 ქულიანი „ზაგრებია".**

**ჩეხეთის** ჩემპიონატის 23-ე ტური. ვიქტორია (ჟიჟკოვი) — ბოჰდანეცი 1:0, სპარტა — პეტრა 4:0, სიგმა — ბანიკი 0:0, ჰრადეც კრალოვე — ბობი 1:1, იაბლონეცი — კაუჩუკი 2:2, ტეპლიცე — სლავია 3:1, სლოვანი — ვიქტორია (პლზენი) 0:0, ჩეშკე ბუდეიოვიცე — დუკლა 0:0. 55 ქულით ლიდერობს „სპარტა", 42 ქულით მეორეზეა „სლავია", ხოლო 38 ქულით მესამეზე „სიგმაა".

## ისრაელი

26-ე ტური. ჰაპოელი (ქვარ სავა) — ჰაპოელი (ფეთაჰთიქვა) 0:1, ჰირონი (რიშონი) — მაკაბი (ჰერცლია) 1:0, მაკაბი (თელ ავივი) — მაკაბი (ჰაიფა) 2:1, მაკაბქი (ფეთაჰთიკვა) — ჰაპოელი (ბეით შიანი) 1:0, ჰაპოელი (ბეერშევა) — ჰაპოელი (აქშელონი) 3:1, ჰაპოელი (ჰაიფა) — ჰაპოელი (თელ ავივი) 2:0, ბეითარი (იერუსალიმი) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 2:1, ირონი (აშდოდი) — ბნეი იეჰუდა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეითარი | 26 | 17 | 8 | 1 | 64:29 | 59 |
| ჰ. თელ ავივი | 26 | 17 | 5 | 4 | 30:13 | 56 |
| ჰ. ჰაიფა | 26 | 14 | 9 | 3 | 50:23 | 51 |
| მ. ჰაიფა | 26 | 13 | 6 | 7 | 43:30 | 45 |
| ჰ. ფეთაჰთიქვა | 26 | 10 | 6 | 10 | 34:34 | 36 |
| ი. რიშონი | 26 | 9 | 6 | 11 | 33:38 | 33 |
| ი. აშდოდი | 26 | 8 | 9 | 9 | 34:40 | 33 |
| მ. ჰეფაჰთიქვა | 26 | 7 | 11 | 8 | 22:24 | 32 |
| ჰ. ქვარ სავა | 26 | 8 | 7 | 11 | 30:33 | 31 |
| ჰ. იერუსალიმი | 26 | 7 | 10 | 9 | 31:36 | 31 |
| მ. თელ ავივი | 26 | 7 | 9 | 10 | 28:31 | 30 |
| მ. ჰერცლია | 26 | 7 | 8 | 11 | 29:34 | 29 |
| ჰ. ბეით შიანი | 26 | 7 | 7 | 12 | 27:38 | 28 |
| ჰ. ბეერშევა | 26 | 6 | 8 | 12 | 33:50 | 26 |
| ბნეი იეჰუდა | 26 | 6 | 7 | 13 | 20:34 | 25 |
| ჰ. აქშელონი | 26 | 4 | 6 | 16 | 20:42 | 18 |

„სარბიელი" სათანამშრომლოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველები შემოგვეხმიანონ ხუთშაბათს 12-დან 15 საათამდე ან კვირას 14-დან 16 საათამდე

ტელ: 39 48 29 ან 39 40 08;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, მე-4 სართული

# ვითამ და აზოტმა მოგებით დაიწყეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

მატჩი ნერვიულად დაიწყო და ტურაშვილის, ბეჟანიშვილის, მაისურაძის უშედეგო შეტევების შემდეგ ბოლოს და ბოლოს ორმოცაძემ გახსნა ანგარიში. მალე კვლავ მან ითამაშა შედეგიანად, რასაც მაისურაძემ სამქულიანით უპასუხა, მაგრამ ამ სამ ქულაზე „დინამო“ კარგა ხანს გაიყინა. ჩინებულად მოთამაშე აბრამიძემ და ორმოცაძემ მეხუთე წუთისთვის „ვითა“ 10 ქულით დააწინაურეს „დინამოელებს“ ძლიერი უკანა ხაზი ჰყავთ ორი ირაკლის — მაისურაძისა და ხოშტარიას სახით, მაგრამ პირველი ტაიმი ხოშტარიას აშკარად არ გამოუვიდა, რაც ერთობ უჩვეულოა მისთვის. „ვითას“ ზონურმა დაცვამ გასჭრა და შენგელიასა და კილაძეს ხელფეხი შეუკრა. ვერც ბეჟანიშვილმა გაილაღა მისებურად. მართალია, მე-10 წუთისთვის სწორედ მისი მეცადინეობით შემცირდა სხვაობა 2 ქულამდე (15:13), მაგრამ კორძაძემ და დავითულიანმა იქვე გაზარდეს ანგარიში. ვითელები პირველ ტაიმში 12 ქულასაც იგებდნენ და მხოლოდ ტაიმის ბოლოს მაისურაძის კარგმა თამაშმა არ გაუშვა ისინი უფრო წინ.

მეორე ტაიმში მთელი ძალით ათამაშდა ხოშტარია, მაგრამ, როგორც გამოირკვა, უკვე გვიანი იყო. ვითელებს მატჩის სადავეები მტკიცედ ეპყრათ ხელთ და მეორე ტაიმის მე-5 წუთისთვის კოკოლიშვილის ზუსტი სროლის შემდეგ 15-ქულიან სხვაობასაც მიაღწიეს. ისიც სათქმელია, რომ ვითელები ჩქარ-ჩქარა ცვლიდნენ მოთამაშეებს და ტემპს ინარჩუნებდნენ, მაშინ, როდესაც „დინამო“ არსებითად მხოლოდ ექვსი მოთამაშით ასპარეზობდა — არ იყვნენ ჩიქოვანი და მეჭურჭლიშვილი, შანიძე კი კარგა ხანს იჯდა სათადარიგოთა სკამზე.

ვითელთაგან მორიგეობით იღებდნენ ლიდერობას თავიანთ თავზე ტურაშვილი, კოკოლიშვილი და დავითულიანი. ასე რომ, შემადგენლობის ცვლისას დინამოელებს მაინც არ მისცემიათ ამოსუნთქვის საშუალება.

ტაიმის შუაწელს სხვაობამ 17 ქულას მიაღწია და მატჩის ბედიც გადაწყდა. მით უმეტეს, რომ 5 პერსონალურის გამო მოედანზე მაისურაძე უკვე აღარ იყო. მას მალე კილაძეც მიჰყვა და მართალია, ხოშტარიამ, შენგელიამ, ბეჟანიშვილმა სცადეს სიტუაციის შეცვლა, მაგრამ ამის უკვე თვით „დინამოს“ მოთამაშეებსაც არ სჯეროდათ.

ვითელებმა კი მატჩის ბოლოს საერთოდ სათადარიგო ხუთეული გამოიყვანეს და სწორედ აქ შეძლეს დინამოელებმა სხვაობის რამდენადმე შემცირება, რითაც საბოლოო ანგარიში უკვე აღარ ასახავდა ჩემპიონის რეალურ უპირატესობას. „ვითამ“ პირველად მოუგო „დინამოს“ ამ ჩემპიონატში.

**აზოტი — სდასუ 106:74 (50:31)**

**აზოტი: გაბისონია (9), წიკლაური (12), გოგობერიშვილი (8), ბოისა (26), ჯაფარიძე (18); ბერუაშვილი (18), კიკვიძე (6), ჯიმშელეიშვილი (5), კოჭლამაზაშვილი (2), გოგოლაძე (2)**

**სდასუ: ჩერქეზიშვილი (10), ჩხეიძე (2), სანაძე (3), ოთიურიძე (36), ნაცვლიშვილი (8); მგალობლიშვილი (6), მუშკუდიანი (4), ტაბატაძე (2), აბულაძე (3)**

სდასუ ერთადერთი გუნდია, რომელმაც წლევანდელ პირველობაზე რუსთაველთა დამარცხება შეძლო. ამიტომ, მართალია, ამ წყვილში ფავორიტებად რუსთაველები ითვლებიან, მაგრამ გულშემატკივრები დაძაბულ ბრძოლას მოელიან. პირველმა მატჩმა ეს მოლოდინი არ გაამართლა, იმდენად აშკარა იყო „აზოტის“ უპირატესობა.

რუსთაველებმა შესანიშნავად გაითამაშეს მატჩის დებიუტი. მრავალსვლიანი კომბინაციებით დაშალეს სდასუ-ს დაცვა და ბოისამ, გოგობერიშვილმა და წიკლაურმა ჩინებულად დაასრულეს შეტევები. მე-3 წუთისთვის ანგარიში 10:2 იყო მათ სასარგებლოდ. სდასუ ბრძოლისუნარიანი გუნდია, როცა ნიკო ჩერქეზიშვილსა და გია სანაძეს მისდით თამაში. მაგრამ ეს შეხვედრა არც ერთ მათგანს არ გამოუვიდა. ერთადერთი, ვინც რუსთაველებს მედგრად ებრძოდა, ვასილ ოთიურიძე იყო, რომელიც ჩინებულ ფორმაშია. სწორედ მისი კარგი თამაშის წყალობით სდასუ-მ ერთხანს სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა (23:4), მაგრამ შესანიშნავად მოთამაშე ბოისამ ისევ კარგა მანძილზე დააშორა გუნდები ერთმანეთს. კარგად ჩაერთო მატჩში ჯაფარიძის ნაცვლად შემოსული ბერუაშვილიც და მე-18 წუთისთვის სხვაობამ 23 ქულას მიაღწია. ტაიმი რუსთაველებმა 19 ქულის უპირატესობით დაამთავრეს.

მეორე ნახევარში სურათი არ შეცვლილა. სდასუ-ელთაგან კვლავ მხოლოდ ოთიურიძე გამოირჩეოდა, რუსთაველებს კი ყველაფერი გამოსდიოდათ. ამიტომაც მატჩის ბედი საფინალო სასტვენამდე კარგა ხნით ადრე გადაწყდა.

**გია აგლაძე**
**გიორგი გიქაშვილი**

## მატჩის საუკეთესო მოთამაშე
## სარბიელის ვერსია

### ვითა — დინამო

**ამროსი ორმოცაძე**

ძნელი იყო ვითელთაგან საუკეთესოს არჩევა, მაგრამ უპირატესობა ორმოცაძეს მივანიჭეთ: ამროსიმ საუკეთესოდ ჩაატარა მატჩის დასაწყისი, როდესაც „ვითამ“, ფაქტობრივად, მეტოქე გატეხა.



— ვითა, როგორც წესი, ამბიციური გუნდია და ტრადიციებს არ ღალატობს. როგორც ყოველთვის, ახლაც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, რის საფუძველსაც გუნდის დღევანდელი კონდიციები და ბიჭების შემართება იძლევა. ახლა საპლეიოფო შეკრებაზე ვართ და მონდომებით ვვარჯიშობთ. იმედია, დავძლევთ „დინამოს“ ბარიერს.

### აზოტი — სდასუ

**ვლადიმერ ბოისა**

მიუხედავად იმისა, რომ ყველა რუსთაველმა კარგად ითამაშა, ვლადიმერ ბოისა მაინც გამორჩეული იყო. ფარზეც კარგად მუშაობდა და შეტევებსაც შედეგიანად აგვირგვინებდა.



— არ ველოდი, სდასუსნაირ ძლიერ გუნდს იოლად თუ მოვუგებდით, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინაა და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. გუნდში მშვენიერი ატმოსფეროა და ყველა მაქსიმუმს გავიღებთ, რათა რუსთაველები გავახაროთ. სდასუ კი, ვფიქრობ, კონტრზომებს მიმართავს და ჩვენი მატჩები უფრო დაძაბული იქნება.



# სასახლე აბანო არ არის: პირსახოცს ტყუილად ნუ ისვრით!

## მოდი და გაიგე, ვისი ფეხი ვის ხელშია



ყველაზე ღონიერი და ხერხიანი ვეფხია ბარდანაშვილი იყო

მეორედ გაიჭედა სპორტის სასახლე უჩვეულო სანახაობას მოწყურებული ხალხით. პირველად, წესისამებრ, ალტერნატიულ მებრძოლთა ჩხუბები გაიმართა. ჯერ ზუგდიდელი რამაზ კორკელია და დმანისელი ბესარიონ ვიბლიანი შეიბნენ. რამაზი ხელჩართული ბრძოლის მიმდევარი და მომავალი ბიზნესმენია, ბესარიონი კი ქუჩის მოჩხუბარი. თითქმის 6 წუთის განმავლობაში ეჭიდებოდნენ ერთმანეთს, ძირითადად კოტრიალობდნენ და მუშტებს გაუმეტებლად ურტყამდნენ ერთმანეთს თავში. ბოლოს და ბოლოს, ბრძოლა შეწყდა და გამოაცხადეს, 19 წლის კორკელიამ 30 წლის ვიბლიანს აჯობაო. მეორე ბრძოლა, კვლავაც ალტერნატიულებისა, ყველაზე ხანმოკლე გამოდგა. თბილისის ქუჩების შვილმა, „პაცანად“ წოდებულმა ნუგზარ სოფრომაძემ ზუგდიდელი მძლეოსნის დათო ჯიჭონაიას მიტყეპვა გადაწყვიტა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, 18 წამში ნოკაუტით გაიშხლართა ძირს.

ძირითადების დროც დადგა. პირველი ბრძოლა ხელოვანთა ჯახი იყო, მხატვარი და მოქანდაკე შეიბნენ. პირველი კარატეში II დანის მფლობელი ლევან ლაგვილავა გახლდათ, მეორე კი ქართულის მოჭიდავე გელა გაროზაშვილი. ქართულმა იმძლავრა, გელამ არც აღგომისა და არც კარატეს ილეთების ჩვენების საშუალება მისცა ლევანს და გაიმარჯვა კიდეც. შემდგომნი იყვნენ თბილისელი ქართულად მოკრივე რამაზ ბუზარიაშვილი და რუსთაველი ძიუდოისტი კობა თაყაიძე. 5 წუთის არც ისე საამოდ საცქერი ძიძგილაობის შემდეგ კობა ძლეულად გამოაცხადეს. ლამაზმანებმა კიდევ ორი ათლეტი მოაცილეს რიგრიგობით რინგამდე: ხელჩართული ბრძოლის მიმდევარი თელაველი ვეფხია ბარდანაშვილი და თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ძიუდოში დავით ჯალაბაძე. ვეფხიამ ერთიორჯერ თავი ხია ძირს მომწყვდეულ დავითს, სისხლი ადინა და, წუთიც არ შესრულებულიყო, მსაჯმა ხელი რომ აუწია გამარჯვების ნიშნად. ძირითადების ბოლო წყვილი კიკბოქსინგის მოჩხუბარი „მშიერა“ თამაზ ოდოშაშვილი და ტაეკვანდოში შავი ქამრის მფლობელი ზურაბ ახვლედიანი იყვნენ. გონგის ხმა ჯერ კიდევ ზრიალებდა, „მშიერამ“ რომ ერთი სალტო გააკეთა ზურაბის წყალობით და ბეჭებზე გაიშალა. თამაზმა იხტიბარი არ



ზურაბ ახვლედიანისა და თამაზ ოდოშაშვილის შერკინება

მოჩნდა და სულ რაღაც წუთნახევარში მოილია საქმე.

ფინალის დაწყებამდე მაყურებელს ქართული ორთაბრძოლების ნაირსახეობანი უჩვენეს. მაგრამ საინტერესო სანახაობის მიუხედავად ხალხი მაინც ფინალის დაჩქარებას ითხოვდა: სტვენა, ნერვიულობა, ყვირილი, ნიძლავების დადება და ფსონების ჩამოსვლა, ჰაერი დაძაბულობით იმუხტებოდა და აჰა, ისიც, ფინალი. ერთმანეთს ვეფხია და დათო ეცილებიან პირველობას. წუთნახევრიანი ჩხუბის შემდეგ ვეფხიამ შებოჭა დათო და კისერი გადაუგრიხა, თანაც ისე, რომ დათოს რომელიღაც შეშფოთებულმა ახლობელმა თეთრი პირსახოცი გადმოაგდო რინგზე. დაეცა თუ არა პირსახოცი ძირს, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო... წესების თანახმად, ეს დანებებას ნიშნავდა,

გაიტეხა და კვლავ შეიბნენ მოჩხუბრები. თითქმის 10 წუთის განმავლობაში ცდილობდა მაყურებელი გაერკვია, რომელი ფეხი ვისი იყო, ისე იყვნენ ერთმანეთში გადახლართულნი. ბოლოს ადრე დაცემულმა თამაზმა იმარჯვა.

ახლოვდება ფინალი. პირველ ნახევარფინალურ ჩხუბში რამაზ ბუზარიაშვილი და დაშავებული გაროზაშვილის შემცვლელი დათო ჯიჭონაია გამოვიდნენ. მივარდნენ ერთმანეთს მძლეოსანი და მოკრივე და 88 წამში მოკრივე იცემა. არც მეორე წყვილს, ოდოშაშვილსა და ბარდანაშვილს გაუჯანჯლებიათ დაკა-დაკა. ვეფხვისებრი ვეფხია შეუდრეკელი აღმოჩნდა.

მაგრამ ჯიჭონაია აღშფოთდა, დანებებას არ ვაპირებდიო. აყვირდნენ მისი მეგობრებიც, აღელდა ხალხიც. წამყვანმა რამდენჯერმე წესებს მივდიოთო, გამოაცხადა, მაგრამ ხალხის ღრიალმა ხმა ჩააკმედინა. ბევრი იბჭეს თუ ცოტა, მსაჯებმა გადაწყვიტეს, პირსახოცის საქციელი შემთხვევითობად ეცნოთ და ხალხისთვისაც კმაყოფილება მიენიჭებინათ. ბრძოლა გაგრძელდა და სულ რამდენიმე წამში ჯიჭონაია სიმწრისგან ხელს ურტყამდა რინგის ლობურის ძელს. სამართალმა პური ჭამა და ვეფხია გუშინდელი ჩხუბის გამარჯვებულად გამოცხადდა.

**ნინო დევაძე**



# ფერარის დღე არგენტინაში

## შუმიმ კი მოიგო, მაგრამ შესაძლოა უქულოდ დარჩეს

მიხაელ შუმახერის გამარჯვებით დამთავრდა არგენტინის დიდი პრიზისთვის რბოლა. გერმანელმა პილოტმა 22 წამით ჩამოიტოვა პირველი ორი ეტაპის გამარჯვებული მიკა ჰაკინენი, რომელმაც მეორე ადგილით მოპოვებული ქულებით საერთო ჩათვლაში პირველობა შეინარჩუნა.

შუმი პოდიუმზე კი ლაღობდა ჟან ტოდტთან და ირვინთან ერთად (რომელმაც მესამე ადგილზე დაასრულა რბოლა), მაგრამ საბოლოოდ მისი პირველობის საკითხი „მაკლარენის“ პატრონ რონ დენისზეა დამოკიდებული. საქმე ის გახლავთ, რომ პირველ წრეებზე გასწრებისას გერმანელი პილოტი რბოლის ლიდერ მაკლარენელ კულჰარდს შეეჯახა და ისე ჩამოიტოვა. თუ „მაკლარენი“ ამის გამო პროტესტს განაცხადებს, შესაძლოა, შუმი სულაც უქულოდ დარჩეს.




მიხაელ შუმახერმაც გაიხარა

საერთოდ, რბოლა სტარტიდანვე დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. პილოტები უშელავათოდ იბრძოდნენ პოზიციების შესანარჩუნებლად და ამიტომ ხშირი გახლდათ მცირე კოლიზიები, რამაც გავლენა იქონია საბოლოო შედეგებზე. მშვენივრად იასპარეზა ალექს ვურცმა, რომელმაც მეოთხემ დაასრულა რბოლა. დასანანი შეცდომა რომ არა, ავსტრიელს პოდიუმზეც ვიხილავდით. მეხუთე ადგილი ზაუბერელ ალეზის დარჩა, მეექვსე კი კულჰარდი იყო.

შუმახერმა 28-ე გამარჯვება იზეიმა, თუმცა კი ამისთვის კვლავ ძალისმიერი ილეთის გამოყენება დასჭირდა. სხვა მხრივ კი გერმანელმა საუცხოოდ წარმართა „ფერარის“ 590-ე რბოლა.

**ალეკო ჩაგუჩიანი**


## სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29